

ISSN 1987-6890

ՁՅԹԵԹՁՕԵԹՕ

EKONOMISTI

*Երևանի Մանկավարժական Եւրոպական-Անալիտիկական Գիտական Ժուրնալ*

*International Scientific - Analytical Journal*

2

2 0 1 2

UDC33

ე-49

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

# ეკონომისტი

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი  
გამოდის 2009 წლის იანვრიდან

აპრილი  
მაისი  
ივნისი

# 2

2012

**მთავარი რედაქტორი რამაზ აბესაძე**

**სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები:  
**ვლადიმერ კაპაგა, ავთანდილ სილაგაძე, ლეო ჩიქავა**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები:

**იური ანანიავილი, როზეტა ასათიანი, კლიმენტი აჩელაშვილი, თემურ ბერიძე, ბიორბი ბერუღაგა, ვახტანგ ბურღული, რევაზ ბოგოხია, მიხეილ თოქმაჯიშვილი, რევაზ კაკულია, თემურ კანდელაკი, მურმან კვარაცხელია, ალფრედ კურატაშვილი, იაკობ მუსხია, ელგუჯა მუქვაბიშვილი, სოლომონ კავლიაშვილი, ბიორბი კაპაგა, უშანბი სამაღაშვილი, როლანდ სარჩიშვილი, ავთანდილ სულაბერიძე, თემურ შენგელია, თინა ჩხეიძე, ნოდარ ჭითანავა, ეთერ ხარაიშვილი, მიხეილ ჯიბუტი.**

აკადემიური დოქტორები:

**ნანული არევაძე, ნანა ბიბილაშვილი, მერაბ გველესიანი, ლინა დათუნაშვილი, ეთერ კაკულია, ნაზირა კაკულია, თეა ლაზარაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), იზა ნათელაური, ნოდარ ხაღური, ელენე ხარაბაძე, მამუკა ხუციშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), რევაზ ჯავახიშვილი. მაგისტრი ბიორბი ყუყუარაძე (პასუხისმგებელი მდივანი).**

უცხოელი წევრები:

**ანა ახვლედიანი (დიდი ბრიტანეთი, პასუხისმგებელი მდივანი უცხოეთში), ლარისა ბელინსკაია (ლიტვა), ელდარ ისმაილოვი (აზერბაიჯანი), ბინდრა კანაუშკინე (ლიტვა), დავით კურტანიძე (აშშ, მთავარი რედაქტორის მოადგილე), ანტანას მასტიტუსი (ლიტვა), ვლადიმერ მენშიკოვი (ლატვია), მიხეილ როკეტლიშვილი (აშშ), სლავომირ პარტიცკი (პოლონეთი), დიმიტრი სოროკინი (რუსეთი), ანდრეი ჰერმანი (პოლონეთი).**

---

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე.

---

თბილისი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Paata Gugushvili Institute of Economics

# EKONOMISTI

International Scientific-Analytical Journal  
Published from January 2009

April  
May  
June

2

2012

**Editor-in-Chief**      **Ramaz Abesadze**

**SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD**

CORRESPONDING MEMBERS OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:

**Leo Chikava, Vladimer Papava, Avtandil Silagadze**

DOCTORS OF ECONOMIC SCIENCES:

**Klimenti Achelashvili, Iuri Ananiashvili, Roseta Asatiani, Temur Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Nodar Chitanava, Tina Chkheidze, Revaz Gogokhia, Mikhail Jibuti, Revaz Kakulia, Temur Kandelaki, Eter Kharashvili, Murman Kvaratskhelia, Alfred Kuratashvili, Jakob Meskhia, Elguja Mekvabishvili, Giorgi Papava, Solomon Pavliashvili, Ushangi Samadashvili, Roland Sarchimelia, Temur Shengelia, Avtandil Sulaberidze, Mikhail Tokmazishvili.**

ACADEMIC DOCTORS:

**Nanuli Arevadze, Nana Bibilashvili, Lina Datunashvili, Merab Gvelesiani, Revaz Javakhishvili, Nazira Kakulia, Eteri Kakulia, Tea Lazarashvili (deputy editor-in-chief), Iza Natelauri, Nodar Khaduri, Elene Kharabadze, Mamuka Khuskivadze (deputy editor-in-chief), master Giorgi Kuparadze (executive secretary).**

FOREIGN MEMBERS:

**Anna Akhvlediani (Great Britain, executive secretary abroad), Larisa Belinskaja (Lithuania), Eldar Ismailov (Azerbaijan), Gindra Kasnauskiene (Lithuania), David Kurtanidze (USA, deputy editor-in-chief abroad), Antanas Mackstius (Lithuania), Vladimir Menshikov (Latvia), Slawomir Partycki (Poland), Mikhail Roketlishvili (USA), Dmitri Sorokin (Russia), Andrei Herman (Poland)**

---

The journal follows the principles of free press. The views of editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information.

---

**Tbilisi**

ს ა რ ჩ ე ვ ი

**მნიშვნელოვანი ღონისძიება** 5

**ეკონომიკური თეორია**

- რევაზ გოგობია* – ეკონომიკური თეორიის როგორც მეცნიერების გენეზისის საკითხისათვის 7
- Britchenko Igor, Olshantseva T.* – Business Education in a Globalized Educational Market 15
- Альфред Кураташвили* – Прожиточный минимум и проблемы здравоохранения: объективная необходимость преодоления геноцида народа 22
- Анзор Кураташвили* – Социальная прибыль – критерий эффективного функционирования общества и государства 29

**მაკროეკონომიკა**

- Marina Muchiashvili* – Assessment of the Impact of the FDI on the Economic Growth of Georgia 33
- ღალი ჩაგელიშვილი-აგლაძე* – გლობალიზაციის თანამედროვე ასპექტები 36

**სოციალური ეკონომიკა**

- Larisa Belinskaja, Gindra Kasnauskienė* – The Pension System reform in lithuania Via Ageing Population 41
- მარინა მუჩიაშვილი* – ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების საპენსიო სისტემები და საქართველოში ამ სფეროში არსებული ძირითადი პრობლემები 51
- Gindra Kasnauskienė, Larisa Belinskaja* – Economic Challenges of an Ageing Lithuanian Population 55

**ტურიზმი**

- თამარ ბაჩიაშვილი* – ტურიზმი და ხალხის ცხოვრების დონის ზრდა: პრობლემები და პერსპექტივები 62
- თამარ ბაჩიაშვილი* – კულტურული თავისებურებების გავლენა ტურიზმის სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტიანობაზე 66

**მაბისტრანტებისა და დოქტორანტების სამეცნიერო ნაშრომები**

- Onise Alpenidze* – Internationalization of Entrepreneurship and Networking 69
- ალექსანდრე შარაშენიძე* – თბილისის ტურისტული კლასტერის განვითარების შესაძლებლობები 77
- თემურ მიმინოშვილი* – ბიზნესისა და მეწარმეობის არსის ზოგიერთი სადისკუსიო საკითხი 82
- გიორგი აფციაური* – ევროკავშირის სავაჭროდ ეკონომიკური ურთიერთობები და საქართველო 89
- ბერიკა წიგნაძე* – ინფლაციის გამომწვევი ფაქტორები და მისი დაძლევის გზები 96

**ინფორმაცია** 101

**C O N T E N T S**

<b>SIGNIFICANT MEASURE</b>	<b>5</b>
<b>ECONOMIC THEORY</b>	
<i>Gogokhia Revaz</i> – Regarding the Issue of Genesis of Economic Theory	<b>7</b>
<i>Britchenko Igor, Olshantseva T.</i> – Business Education in a Globalized Educational Market	<b>15</b>
<i>Kuratashvili Alfred</i> – Living Wage and Health Care Problems: Objective Need of Overcoming of Genocide of the People	<b>22</b>
<i>Kuratashvili Anzor</i> – Social Profit – Criterion of Effective Functioning of Society and State	<b>29</b>
<b>MACROECONIMICS</b>	
<i>Muchiashvili Marina</i> – Assessment of the Impact of the FDI on the Economic Growth of Georgia	<b>33</b>
<i>Chagelishvili-Agladze Lali</i> – Modern Aspects of Globalization	<b>36</b>
<b>SOCIAL ECONOMY</b>	
<i>Belinskaja Larisa, Kasnauskienė Gindra</i> – The Pension System reform in lithuania Via Ageing Population	<b>41</b>
<i>Muchiashvili Marina</i> – The Pension Systems of the Developed Countries and Main Problems of Georgian Pension System	<b>51</b>
<i>Kasnauskienė Gindra, Belinskaja Larisa</i> – Economic Challenges of an Ageing Lithuanian Population	<b>55</b>
<b>TOURISM</b>	
<i>Bachiashvili Tamar</i> – Tourism and the Growth of People’s Living Level the Problems and Perspectives	<b>62</b>
<i>Bachiashvili Tamar</i> – The Influence of Cultural Peculiarities on Social and Economical Relations of Tourism	<b>66</b>
<b>SCIENTIFIC WORKS OF UNDERGRADUATES AND DOCTORAL STUDENTS</b>	
<i>Alpenidze Onise</i> – Internationalization of Entrepreneurship and Networking	<b>69</b>
<i>Sharashenidze Alexander</i> –Possibilities of Tbilisi Tourism Cluster Development	<b>77</b>
<i>Miminoshvili Temur</i> – Several Issues in Regard of the Essence of Business and Entrepreneurship	<b>82</b>
<i>Aptsiauri George</i> – Foreign Economic Relations of the European Union and Georgia	<b>89</b>
<i>Tsignadze Berika</i> – The Reasons of Inflation and the Ways of Overcoming the One	<b>96</b>
<b>INFORMATION</b>	<b>101</b>

**მნიშვნელოვანი ღონისძიება**

2012 წლის 28-29 ივნისს **თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტში** გაიმართა პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ფართომასშტაბიანი საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია, რომლის თემა გახლდათ: **„ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია“**.

კონფერენციის ორგანიზატორი იყო **თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი**, მხარდამჭერი ორგანიზაციები: აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის **სახელმწიფო უნივერსიტეტი** და **გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი**.

კონფერენციაზე გაიმართა პლენარული სხდომა და შემდეგ იგი 5 თემატურ სექციად დაიყო: ეკონომიკური თეორიის, მაკროეკონომიკის, ფინანსებისა და საერთაშორისო ეკონომიკის, ბიზნესის პრობლემებისა და სექტორული და რეგიონული ეკონომიკის სექციად.

ქართველ მეცნიერთა გარდა კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 40 წარმომადგენელი.

კონფერენცია გახსნა თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **რამაზ აბუსაძემ**. მან თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა კონფერენციის თემატიკასა და კონფერენციის მნიშვნელობაზე, როგორც ეკონომიკური მეცნიერების განვითარების, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამეცნიერო კავშირების გაფართოების თვალსაზრისით.

პლენარულ სხდომაზე მოხსენებებით გამოვიდნენ ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიორგი ბერუღაია**, პოლტავის ეკონომიკისა და ვაჭრობის უნივერსიტეტის კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების დარგთაშორისი ინსტიტუტის დირექტორი **იგორ ბრიტჩენკო** (უკრაინა). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი **ვლადიმერ პაპაია**, თსუ სრული პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **იური ანანიაშვილი**, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ავთანდილ სულაბერიძე**, ვილნიუსის უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის სკოლის პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი **ლარისა ბელინსკაია (ლიტვა)**, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი **გინდრა კასნაუსკიენე (ლიტვა)**, ვილნიუსის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის ლექტორი **არტურას ვიტასი (ლიტვა)**, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, მიხეილ ტუგან-ბარანოვსკის სახელობის ეკონომიკისა და ვაჭრობის დონეცკის ნაციონალური უნივერსიტეტის პროფესორი **ვალენტინა ორლოვა (უკრაინა)** და სხვები.

პლენარული სხდომის შემდეგ გაიმართა სექციური მუშაობა. და ბოლოს გაიმართა კონფერენციის მუშაობის შემაჯამებელი სხდომა. როგორც საზღვარგარეთელი, ისე ქართველი მეცნიერების მიერ გამოთქმული იქნა მოსაზრება, რომ კონფერენცია ჩატარდა მაღალ მეცნიერულ დონეზე და რომ აუცილებელია კონფერენციაზე გამოთქმულ მოსაზრებათა, წინადადებებისა და დასკვნების საფუძველზე შემუშავდეს რეკომენდაციები, რომელიც დაეგზავნება შესაბამის ინსტანციებს. ამისათვის შეიქმნა რეკომენდაციების შემუშავებელი კომისია.

კონფერენციის მეორე დღეს გაიმართა პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან მე-60-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა. სხდომას უძღვებოდა ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი **რამაზ აბესაძე**. მანვე გააკეთა მოხსენება პროფესორ **გიორგი წერეთლის** ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

სხდომაზე მოგონებებით გამოვიდნენ: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები: **ვლადიმერ პაპაია, ლეო ჩიქაია, ავთანდილ სილაგაძე**; ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **მისეილ ჯიბუტი, ნუგზარ პაიჭაძე ავთანდილ სულაბერიძე, იური ანანიაშვილი**; ეკონომიკის დოქტორი **დემნა კვარაცხელია** და სხვები.

კონფერენციის მსვლელობის დროს გაიმართა კულტურული ღონისძიებები.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კონფერენცია, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა მხოლოდ ეკონომიკის ინსტიტუტის, არამედ მთელი უნივერსიტეტის სამეცნიერო ცხოვრებაში. ასეთი ღონისძიებები ხელს უწყობენ საერთაშორისო სამეცნიერო კავშირების განვითარებასა და მეგობრული ურთიერთობების გაძლიერებას ხალხთა შორის.

**ეკონომიკური თეორია**

**რევაზ გოგობია**  
**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**ეკონომიკური თეორიის როგორც მენეჯერების ბენეფიციის საკითხისათვის**

ზოგადი ეკონომიკური თეორიის საგნისა და ამოცანების განსაზღვრა მეცნიერული დამუშავებისა და ემპირიული ადაპტაციის ახალ სტადიაშია.

XXს. 90-იან წლებამდე, როცა ეკონომიკური მსოფლმხედველობისა და აზროვნების სოციალიზმის სივრცეში ჭარბობდა მარქსისტული პოლიტეკონომია, მსოფლიო ეკონომიკური ლიტერატურა უმეტესწილად მიჩქმალული დარჩა, როგორც მარქსის სქემებთან არათავსებადი. ეკონომიკური აზროვნების ასეთმა სივრცობრივმა „დაშორიშორებამ“ განაპირობა ეკონომისტთა მეცნიერული მსჯელობა განსხვავებული ცნებებითა და ტერმინებით, ისეთი არარეალური თაკვი, როგორცაა უშუალოდ საზოგადოებრივი შრომა, უშუალო საზოგადოებრივი პროდუქტი და სხვა მსგავსი.

მარქსისტული მიდგომით, პოლიტეკონომიის საგნის განმარტებაში აქცენტი კეთდებოდა სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების კლასობრივი ხასიათის – საკუთრებით ურთიერთობებზე დაფუძნებულ წარმოებით ურთიერთობათა არსის გახსნასა და მისი როგორც საზოგადოების ეკონომიკური ყოფის მამოძრავებლის დახასიათებაზე. ამით, არა თუ შეზღუდული იყო ეკონომიკური თეორიის საგნის არეალები, არამედ უგეგმებელყოფილი იყო კაცობრიობის განვითარების ზოგადცივილიზაციური ფაქტორები, და შესაბამისად – გაყალბებული რეალური ეკონომიკური გარემო. ყოველივე ამან, რკინის მარწუხებში მოაქცია ეკონომიკური თეორიის და მეურნეობრივი პრაქტიკის არეალები. ასეთ ვითარებაში, ობიექტური აუცილებლობით, დღის წესრიგში დადგა ეკონომიკური თეორიის საგნის სიდრმისეულად და სივრცობრივად გაფართოების უაღრესად აქტუალური ამოცანა.

ამის გამოძახილი იყო სხვადასხვა ყაიდის „ეკონომიკის“, როგორც თითქოსდა ახლებული აზროვნების შედეგის გამოჩენა წიგნის ბაზარზე. ამით იწყება ეკონომიკური თეორიის გადართვა საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროცესების კვლევიდან, „ნივთობრივ“ კავშირ-ურთიერთობათა კვლევაზე, ამა თუ იმ ალტერნატიული მიზნის მისაღწევად შეზღუდული ეკონომიკური რესურსების რაციონალური გამოყენების, ასევე ფირმაში წარმოებულ შრომის პროდუქტთა გასაღების ორგანიზაციის კვლევაზე და ა.შ.

საყურადღებოა ის აზრიც, რომ პოლიტიკური ეკონომია და ეკონომიკისი ერთიმეორეს კი არ გამორიცხავენ, არამედ ავსებენ, წყვეტენ რა საერთო და შედარებით დამოუკიდებელ ამოცანებს. ეკონომიკისი ამუშავებს ვერსიებს, რომელშიც ჭარბობს აღწარმოებითი და რაოდენობრივ-ოპერაციული მიდგომები, ე.ი. აღწერს და ხსნის საგანს. ეკონომიკისი ადამიანს აყენებს შემცნობელის, დამკვირვებლის და უშუალო შემქმნელის მდგომარეობაში. ეკონომიკისი თავისებური ინჟინერიაა, რომელიც ემსახურება სამეურნეო და სოციალურ სამყაროს. თუმცა, მათემატიკურმა პრინციპებმა და ხერხებმა მისგან გამოდევნა სამეურნეო პროცესების ფილოსოფიურ-ეკონომიკური განსჯა და გააზრება, რაც „ეკონომიკისების“ თუ „ეკონომიკის პრინციპების“ საერთო ნაკლია.

რაც შეეხება ეკონომიკურ თეორიას (პოლიტეკონომიას), მისი საფუძვლები ყალიბდებოდა საუკუნეების განმავლობაში. თანამედროვე ეკონომიკური თეორიისათვის დამახასიათებელია ეკონომიკური სინამდვილის შემეცნების მე-



თოდებისა და ხერხების უწყვეტი სრულყოფა, რაც სავსებით კანონზომიერი პროცესია.

თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ძირითადი მიმართულებებია:

**სოციალურ-ეკონომიკური სკოლა** – საკვლევი მოვლენებისა და პროცესებისადმი კლასობრივი მიდგომა, რომლის საფუძვლები შექმნა მარქსიზმმა და რომელიც სულ უფრო კარგავს აქტუალურობას;

**მარქინალისტური სკოლა (ა. მარშალი და სხვები)**, რომლის ძირითადი კატეგორიებია ზღვრული სარგებლიანობა და ზღვრული მწარმოებლურობა, რაც გამოიყენება საბაზრო წონასწორობის მოდულების ასაგებად. მარქინალიზმის თეორია, არსებითად ეკონომიკური თეორიის მიკროეკონომიკური მიმართულებაა;

**კეინზიანური სკოლა (ჯ.მ. კეინზი და სხვები)**, რომელიც ყურადღებას ამახვილებს საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის გაძლიერებაზე;

**ნეოკეინზიანური სკოლა (დ. რობინსონი, ე. დომარი, ლ. სამუელსონი და სხვ.)**, რომლის ძირითადი ფორმებია ადრეული ნეოკეინზიანელობა და პოსტ-კეინზიანელობა. ამ უაკანასკნელი მიმდინარეობის ამოცანაა კეინზის კონცეფციის „გაწმენდა“ სხვათა მინარევებისაგან და იმავდროულად მისი გათანამედროვეობა. ამასთან, ისინი იყენებენ სოციალურ-ეკონომიკური სკოლის იდეებსა და ინსტიტუტებს;

**ნეოლიბერალური სკოლა (ლ. მიხესი, ფ. ჰაიეკი და სხვ.)** – ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვის კონცეფციითაა წარმოდგენილი. ამ თეორიის ამოსავალია მტკიცება იმისა, რომ ბაზარი მეურნეობის ყველაზე ეფექტიანი სისტემაა, რომელიც საუკეთესო პირობებს ქმნის ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობისთვის.

**მონეტარისტული სკოლა (მ. ფრიდმენი და სხვ.)**, რომლის ძირითადი იდეაა მეწარმეობის თავისუფლება და ფულის წამყვანი როლი წარმოების მოძრაობასა და განვითარებაში, ხოლო სახელმწიფო რეგულირება უნდა შემოისახდეს ფულადი მიმოქცევის კონტროლით.

**ინსტიტუციონალიზმის ეკონომიკური თეორია (ტ. ვებლენი, ჯ. კომონსი, უ. მიტჩელი და სხვ.)**, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ინსტიტუტების როლს ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა მიღებაში და მწვავედ აკრიტიკებს საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირების თეორიას. ეს თეორია სწავლობს ადამიანთა და მათი ინსტიტუტების ქცევას. ინსტიტუტი მიჩნეულია საზოგადოებრივი განვითარების მამოძრავებელ ძალად. ინსტიტუციონალიზმის ძირითადი ნაირსახეობებია – სოციალურ-ფსიქოლოგიური, სოციალურ-სამართლებრივი და კონიუნქტურული ინსტიტუციონალიზმი.

XXს. შუა ხანებში დასავლეთის ეკონომიკური მეცნიერების ფარგლებში წარმოჩინდა ეკონომიკური მეცნიერების ორი ძირითადი მიმართულების – ნეოკლასიკურის (ა. მარშალი, მ. ფრიდმენი, უ. რიუეფი, კ. კლარკი, ა. ვებერი, ა. ფორსტმანი და სხვ.) და კეინზიანელობის ერთ მიმართულებად დაახლოების ტენდენცია. კერძოდ, ლ სამუელსონმა შექმნა ახალი კონცეფცია „ნეოკლასიკური სინთეზის“ სახით, რომლის არსია ის, რომ კაპიტალიზმის მომავალი – შერეული ეკონომიკაა, რაც გულისხმობს სახელმწიფოს მონაწილეობას ბიზნესში. ეს, თავის მხრივ, ეკონომიკის კრიზისებისაგან, ინფლაციისა და სხვა უბედურებებისაგან დაცვის ეფექტიანი საშუალებაა.

ეკონომიკური თეორიის ყველა განხილული მიმდინარეობის მწვავე კრიტიკით გამოირჩევა ინსტიტუციურ-სოციოლოგიური მიმდინარეობა (ჯ. გლბრეითი, რ. არონი, ფ. პერუ, ვ. იუფმანი და სხვ.), რომელიც ეკონომიკას განიხილავს როგორც სხვადასხვა ინსტიტუტის (საწარმოები, პროფკავშირები, სახელმწიფო) ურთიერთმოქმედების ერთობლიობად. მისი მიმდევრების აზრით, სუბიექტთა

ქმედებაში დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ ნორმებს, მორალურ-ეთიკურ, ფსიქოლოგიურ და სხვა თავისებურებებს. ამ მიმდინარეობის როლის გაძლიერებაზე მიანიშნებს მოთხოვნები გაძლიერდეს ახალი მიდგომები ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სფეროში, მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული მოსახლეობის გაზრდილი სოციალური მოთხოვნილებები, გამონახოს ეკონომიკაში სახელმწიფოს ფუნქციონირების ახალი გზები და მიმართულებები.

აქვე, თანამედროვე ეკონომიკურ თეორიათა სიმრავლესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი ეკონომიკური სკოლა თუ მიმდინარეობა არ წარმოადგენს მონოლითურ მთლიანობას, თითოეული ტრანსფორმაციისა და ცვლილების პროცესშია, თითოეულის ინსტორიული განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, მეტ-ნაკლები ზომით ჩართულია სხვა სკოლები და შეხედულებები, ანუ ესა თუ ის ეკონომიკური სკოლა ვითარდება არა იზოლირებულად, არამედ თითოეულის განვითარებაში ჩართულია სხვა სკოლები და მიმდინარეობები, უფრო მეტიც, ზოგი სხვების ძლიერ გავლენას განიცდის. მაგალითად, კ. მარქსის ეკონომიკური თეორია განვითარდა სმითისა და დ. რიკარდოს კლასიკური თეორიებიდან, თუმცა, – მათი კრიტიკის საფუძველზე. არც ისაა გამორიცხვად, რომ უარიყოფა ადრინდელი სკოლის ყველა ან თითქმის ყველა ამოსავალი წანამძღვარი. ამის კლასიკური მაგალითია ავსტრიული სკოლა, რომელიც განვითარდა როგორც გერმანულ ისტორიზმზე რეაქცია, ასევე ინსტიტუციური სკოლა აღმოცენდა XIX ს. 70-იან წლებში – ამერიკული თეორეტიკოს-ნეოკლასიკოსების პიკში – კლასიკური სკოლის კრახის შემდეგ. მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა როგორც მემკვიდრეობითობას, ასევე წარსულთან კავშირის თითქმის გაწყვეტას. თუმცა, არც თუ იშვიათია შემთხვევა, როცა აღმოჩნდება, რომ დიამეტრულად საწინააღმდეგო პოზიციებზე მდგარი ეკონომიკური თეორიების საფუძველები საერთო დაშვებებია.

ამასთან, საინტერესოა ისიც, რომ თვით ერთი და იგივე მეცნიერული ეკონომიკური სკოლა არაერთგვაროვანია. მაგალითად, კლასიკურ სკოლაში შეიმჩნევა ღრმა განსხვავება სმითისა და რიკარდოს შეხედულებებში, ნეოკლასიკურში – ვალრასსა და მარშალს შორის, თანამედროვე პირობებში კი – კ. ეროუს, მ. ფრიდმანის, რ. ლუკასისა და პ. სამუელსონის „ერთოდოქსალურ“ ნაშრომებს შორის. ეს განპირობებულია იმითაც, რომ ეკონომიკური მეცნიერება არსებობს და ვითარდება სხვადასხვა კონკრეტულ-ეკონომიკურ სიტუაციებში – სხვადასხვა ტიპის ზეწოლის პირობებში. შესაბამისად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ოდესმე ჩამოყალიბდეს თუნდაც ერთი წმინდა აბსტრაქტული, თეორიულად თანამდევრული და სრული მეცნიერულ-ეკონომიკური სისტემა. აქედან კი კიდევ ერთი ის მტკიცებულება გამოდის, რომ არ შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ერთი აბსოლუტურად სწორი თეორიულ-ეკონომიკური პოსტულატი.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა „მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის“ ი. შუმპეტერისეული ინტერპრეტაცია, რამაც ნამდვილი პოპულარობა ლუდვიგ ფონ მიხესის მეშვეობით შეიძინა, რომელმაც ეკონომიკური მეცნიერების ზოგადი პრობლემებისადმი მიძღვნილ ნაშრომში – ერთ-ერთმა პირველმა გააშუქა აღნიშნული დოქტრინის ფუძემდებლური დებულებები. მისი აზრით, მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის პრინციპი იმ ფაქტის აღიარებაა, რომ „ყველა მოქმედება იწარმოება ინდივიდების მიერ“ და „კოლექტივი არ არსებობს ცალკეულ წევრთა საქმიანობის გარეშე“.<sup>1</sup>

ყოველივე აღნიშნულის მიუხედავად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე ეკონომიკური მეცნიერება გარკვეულ კრი-

<sup>1</sup> Мизес Л. Фон. Человеческая деятельность: Трактат по экономической теории, М., 2000, с. 43.

ზისს განიცდიდა: მან ვერ გასცა დამაჯერებელი პასუხი რადიკალურად შეცვლილი სამეურნეო პოლიტიკის აქტუალურ მოთხოვნებს, ვერ შესთავაზა მეცნიერული პარადიგმები და ეფექტიანი რეკომენდაციები XX საუკუნის მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად. მართალია, ეკონომიკური თეორია როგორც განვითარებადი მეცნიერება, გაივლის დაცემისა და აღმავლობის გარკვეულ სტადიებს, მაგრამ ის, რომ თანამედროვე ეკონომიკური აზრი არის სხვადასხვა მიმართულების, მიმდინარეობისა და სკოლების რთული და წინააღმდეგობრივი სისტემა, რომლებიც თავისებურად ხსნიან ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს, გარკვეულწილად მიანიშნებს მის მეტ-ნაკლებად კრიზისულ მდგომარეობაზე.

მიუხედავად შეხედულებათა ასეთი განსხვავებისა, ეკონომიკური თეორიის მიმდინარეობათა უმეტესი წარმომადგენლებისათვის სადავოს არ უნდა წარმოადგენდეს ის, რომ პოსტინდუსტრიალ საზოგადოებაში, ეკონომიკური თეორია საერთო თეორიულ-მეთოდოლოგიური მეცნიერებაა, რომელსაც აქვს თავისი კვლევის საგანი და ანალიზის ობიექტი. ამ თვალსაზრისით, კრიტიკას იმსახურებს მკვლევარ-ეკონომისტთა ერთი ჯგუფის მიერ ეკონომიკური თეორიის კურსის საგნად მხოლოდ ბაზრის ანალიზისა და ფასწარმოქმნის კანონზომიერებათა შესწავლის მიჩნევა. იგივე შეიძლება ითქვას მკვლევართა იმ ჯგუფის შესახებ, რომლებიც, მართალია, მიანიშნებენ ეკონომიკური თეორიის უნივერსალურობაზე, მაგრამ მისი შესწავლის საგნად მიიჩნევენ ადამიანთა ყოველდღიური საქმიანი ცხოვრების, ფულის და საერთოდ საარსებო საშუალებათა მოპოვების შესწავლას. უმეტესობის აზრით, და ეს უფრო ახლოსაა ტექნიკურ-ტეხასთან, ეკონომიკური თეორია უნივერსალური მეცნიერებაა რესურსთა რაციონალური გამოყენებისა და ადამიანთა საქმიანობის არჩევანის შესახებ.

აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო პერიოდამდე ეკონომიკის დინამიკისა და სტატიკის ანალიზისადმი ჩამოყალიბებული იყო ორი მიდგომა: აღწარმოებითი პროცესების ანალიზი და ეკონომიკური ზრდის კანონზომიერებათა კვლევა. აღწარმოებითი მიდგომა მიჩნეული იყო მარქსისტულად, ხოლო ეკონომიკური ზრდის ანალიზი – დასავლურ (ბურჟუაზიულ) მიდგომად. ეჭვს არ იწვევს ეკონომიკის ანალიზისადმი ასეთი დიფერენცირებული მიდგომა დღეისათვის მიუღებელია. მაგალითად, მას საფუძვლად უდევს სხვადასხვა ეკონომიკური სკოლის – მარქსისტულისა და ნეოკლასიკურის პოზიცია, მაგრამ მთავარია ის, რომ ეკონომიკურ გამოკვლევებში მათი ერთობლივად გამოყენება აუცილებელი და ეფექტიანია: ეკონომიკური ზრდის ამოსავალი და საფუძველი აღწარმოებაა, ისევე როგორც ეკონომიკური ზრდა სხვა არაფერია, თუ არა აღწარმოებითი პროცესის უწყვეტი ციკლის რეალიზაციის შედეგი.

შეიძლებოდა მოგვეყვანა ეკონომიკური თეორიის საგნის განმარტების სხვა ვარიანტებიც, მაგრამ მთავარია ის, რომ ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ამ მეცნიერების საგნის ერთიანი, საერთოდ აღიარებული განმარტება.

შედარებით სრულყოფილად მიგვაჩნია, სხვადასხვა შეხედულების შეჯერება-დახვეწის საფუძველზე, ჩამოყალიბებული შემდეგი განმარტება: ეკონომიკური თეორია „სწავლობს, საზოგადოებისა და მისი თითოეული წევრის დოვლათზე მზარდ მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილების მიზნით, შეზღუდული რესურსების ოპტიმალური არჩევანისა და ეფექტიანად გამოყენების გზებსა და მეთოდებს და ამ პროცესში ადამიანთა შორის ჩამყალიბებულ ურთიერთობებს“.<sup>2</sup> ეს ზოგადი გასაზღვრა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების კვლევისათვის როგორც მიკრო, ასევე

<sup>2</sup> გ. თოდუა, რ. გოგოხია, რ. ქუტიძე, ეკონომიკის პრინციპები. მიკროეკონომიკა (ლექციების კურსი), თბ., 2008, გვ. 9.

მაკროდონეზე, თითოეული მათგანის ფუნქციონირება-განვითარების სპეციფიკის გათვალისწინებით.

მოყვანილ დეფინიციაში – „შეზღუდული რესურსები“, იგულისხმება არა მისი ფიზიკური უკმარისობა (თუმცა, არც ესაა გამორიცხული), არამედ როგორც საზოგადოების ყველა წევრის მოთხოვნილებათა ერთდროულად და სრულად დაკმაყოფილების შეუძლებლობა, რაც ობიექტურად განაპირობებს კონკურენციას მისი მაღალეფექტიანად გამოყენებისათვის.

ეკონომიკური თეორიის ზოგადი საფუძველი მოიცავს ფილოსოფიის ძირითადი საკითხის – მატერიალურისა და იდეალურის – გააზრებას. 2500 წელზე მეტია მათ შორის (მატერიალისტებსა და იდეალისტებს) დავა გრძელდება. თუმცა, რამდენიმე ათწლეულიწელია, ჭეშმარიტი მკვლევარებისთვის სულ უფრო ნათელი ხდება, რომ უმართებულოა საზოგადოების განვითარების კანონების ახსნისას ერთიმეორეს დაუპირისპიროთ მატერია და მისი შემეცნების ფორმა. ისინი ერთიმეორეში შეღწევადი და ურთიერთგანპირობებული ფენომენებია, ანუ დაპირისპირებულთა დიალექტიკური ერთიანობისა და წინააღმდეგობის უზოგადესი კანონზომიერებაა. თანამედროვე ფილოსოფიურ, ასევე ეკონომიკურ ლიტერატურაში ეს შესხედულება სულ უფრო დომინირებადი ხდება. კაცობრიობის ცივილიზაციის თანამედროვე დონეზე მათი ერთიანობა ვლინდება იმით, რომ ადამიანისათვის მატერიალური არ არის იდეალურის გარეშე, იდეალური მატერიალურის გარეშე, მათი ერთიანობა კი საზოგადოების განვითარების უპირველესი, ანუ მამოძრავებელი ფაქტორია. უფრო მეტიც, საზოგადოების სულიერება ცივილიზაციის ახალ ეტაპებზე სულ უფრო ნაკლებ დამოკიდებული ხდება მატერიალურის განვითარებაზე, ანუ ის ამ უკანასკნელზე სულ უფრო ძლიერ ზემოქმედებას ახდებს. ამის პრაქტიკული გამოვლინება თანამედროვე ინფორმაციული საზოგადოებაა, საფუძველი კი ის, რომ საზოგადოების მიერ გაზიარებული და აპრობირებული იდეები იძენს მატერიალურ ძალას და ხდება მისი განვითარების მზარდი წყარო.

უკანასკნელ პერიოდში ინტენსიურად მიმდინარეობს სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების გამოკვლევისადმი მიდგომის გადაფასება. რაც მთავარია, თანდათანობით და თანმიმდევრულად ისახება პრობლემათა გამოკვლევებისადმი სხვადასხვა მეთოდოლოგიური მისდგომის გზები, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური რეალიების გამოკვლევის ახალ მიმართულებათა წარმოჩინებას. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია აღინიშნოს პოსტკეინზიანელობის ტრანსფორმაცია, რომელიც უკვე აერთიანებს ეკონომიკურ თეორიაში არაერთნაირად მოაზროვნე სხვადასხვა მიმართულებების – ტრადიციულ ამერიკელ ინსტიტუციონალისტებს და ევროპულ მარქსისტებს, ასევე კეინზის უახლოეს კოლეგებსა და მოწაფეებს. ამ სკოლების წარმომადგენელთა მისწრაფებაა რეალისტური ეკონომიკური თეორიის შექმნით, რაციონალური მეურნეობრიობის რეცეპტების შემუშავება.

ძველი მცნიერული მარაგის გადააზრების, გამოკვლევებისადმი ახლებური მიდგომის, ახალ მიმართულებათა ჩამოყალიბებისადმი სწრაფვა დამახასიათებელია პოსტსოციალისტური სივრცის ქვეყნების, მათ შორის საქართველოსთვისაც (ვ. პაპავა და სხვ.).<sup>3</sup> ამ პროცესს თან ახლავს დასავლური ეკონომიკური მეცნიერების წინაშე სრული ქედმოხრის თანდათანობით დაძლევა, უფრო მეტიც – ხვალისდელ დღეზე გათვლით „მისი გასწრების“ მცდელობა, რაც მისასაღმებელია.

<sup>3</sup> იხ. ვ. პაპავა. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა, თბ., 2005; ნეკროეკონომიკის ზომბირება, თბ., 2010; არატრადიციული ეკონომიკისი, თბ., 2011 და ა.შ.

აღნიშნულთან ერთად, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ეკონომიკური ფსიქოლოგიზმის პრინციპის წარმატებით გამოყენებას თეორიულ გამოკვლევებში. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც დღეს უკვე საუბრით ცხადია, რომ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ანალიზი და შეფასება არასრულია ისეთი ფაქტორის გარეშე, როგორცაა ადამიანის ფსიქოლოგია.<sup>4</sup>

უკანასკნელ წლებში პოსტსაბჭოთა სივრცეში აღორძინებას განიცდის ნეონსტიტუციონალიზმი, რაც „ეკონომიკების“ დამახასიათებელი რიგი შეზღუდულობის გადალახვის შესაძლებლობას იძლევა (ეს განსაკუთრებით შეეხება სრული რაციონალურობის, აბსოლუტური ინფორმირებულობის, სრულყოფილი კონკურენციის, მხოლოდ ფასობრივი მექანიზმის მეშვეობით წონასწორობის დამყარების აქსიომებს). ამის საჭიროება განსაკუთრებით იგრძნობა პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის, საქართველოში, სადაც საბაზრო სისტემა ჯერაც არ არის ჩამოყალიბებული. მაღალგანვითარებული ქვეყნებისათვის მისაღები ტრადიციული თეორიული პოსტულატები, აქ არსებითად გამოყენებელია, რის გამოც წინა პლანზე წამოიწევა ინსტიტუციონალიზმი, რომლის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ეკონომიკური ინსტიტუტების ტრანსფორმაცია, ეკონომიკისა და სამართლებრივი ინსტიტუტების ურთიერთგავლენის პრობლემები, მოსახლეობის ადაპტაცია ბაზრისადმი და ა.შ. ამრიგად, ინსტიტუციონალიზმის აღორძინება და განვითარება პოსტსაბჭოთა სივრცეში განპირობებულია როგორც სამამულო მეცნიერების ტრადიციებით (სოციალიზმის პირობებში მარქსიზმის აქტიურ მოკავშირედ ხომ ტრადიციულად ინსტიტუტები ითვლებოდა და არც ისაა შემთხვევითი, რომ გელბრეითის, მიურდალის, ვებლენის ნაშრომები ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში გამოქვეყნდა), ასევე სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნებით.

იმავდროულად, თანამედროვე დასავლური ეკონომიკური მეცნიერების ძირითადი ნიშნებია ეკონომიკური ფსიქოლოგიზმი, ტექნოლოგიური დეტერმინიზმი და სხვ.

და მაინც, თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერებისათვის დამახასიათებელია სერიოზული (თუ ღრმა არა) კრიზისი, რომლის არსიც ის არის, რომ მისმა ძირითადმა მიმართულებებმა, მიმდინარეობებმა და სკოლებმა გლობალიზაციის პირობებში ვერ შეძლეს სამეურნეო პოლიტიკისათვის შეეთავაზებინათ ეფექტიანი ღონისძიებები, რაც მსოფლიოს ააცილებდა საყოველთაო ფინანსურ და ეკონომიკურ კრიზისებს.

ეკონომიკური თეორიის ქმედითობის ამადლებისათვის აუცილებელია მოდერნიზებული (თუ ახალი არა) მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირება შემდეგი მახასიათებლებით: პლურალისტური მიდგომა საზოგადოების განვითარების პრობლემათა გამოკვლევისადმი (ფორმაციული, ცივილიზაციური და ა.შ.), ახალმა მსოფლმხედველობამ გადამწყვეტი უარი უნდა თქვას საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების მეტისმეტად იდეოლოგიზაციასა და კლასობრივ შეფასებაზე, ახალი მსოფლმხედველობა კი არ უნდა „მუშაობდეს“ პარტიის ან ჯგუფის ინტერესებისათვის, არამედ უნდა პასუხობდეს მთლიანად საზოგადოების აღმავალი განვითარების ინტერესებს, ე.ი. ობიექტურად უნდა ასახავდეს განვითარების კანონზომიერებებს, უნდა იყოს ჭეშმარიტად მეცნიერული საფუძველი საზოგადოების ამა თუ იმ სფეროში აღმოცენებული წინააღმდეგობის აღმოფხვრის ეფექტიანი მექანიზმის ფორმირებისათვის.

ამასთან დაკავშირებით უდავოდ საყურადღებოა ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიკურ პოლიტიკას შორის კავშირურთიერთობის პრობლემა, რომ-

<sup>4</sup> იხ. „Российский журнал“, 1997, №8-12; 1998, №1

ლებიც სხვადასხვა რიგის მოვლენებია. რა თქმა უნდა, შეიძლება მსჯელობა რეალურად არსებულ წარმოებით ურთიერთობაზე ეკონომიკური პოლიტიკის ზემოქმედების შესახებ, მაგრამ მათი გაიგივება დაუშვებელია. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა არის გარკვეულ ურთიერთობათა ფორმირების ფაქტორი, მაგრამ არა საკუთრივ ეს ურთიერთობები. რომ შეგვეძლოს ზემოქმედება უნდა განვასხვავოთ ის, რა ზემოქმედებს, იმისგან, რა არის ზემოქმედების საგანი. ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელობას არ ამცირებს მტკიცება, რომ არსებობს მეცნიერება ობიექტურ წარმოებით ურთიერთობათა შესახებ და არის ეკონომიკური პოლიტიკა, რაც ამ ურთიერთობაზე ზემოქმედების საშუალებაა, მაგრამ მას არ ემთხვევა. სხვანაირად რომ ვთქვათ, დებულება იმის შესახებ, რომ ეკონომიკური კანონები ობიექტური ხასიათისაა და აუცილებელია განვასხვავოთ ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა – სავსებით სწორია. თუმცა, ვერ დავეთანხმებით შეხედულებას იმის შესახებ, რომ ეკონომიკური პოლიტიკა რახან არაა ეკონომიკური თეორიის შესწავლის ობიექტი, ის არც ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების კანონზომიერებათა შესწავლაა. მართალია, უშუალოდ ეკონომიკური პოლიტიკის შემსწავლელ მეცნიერებას აქვს ეკონომიკური თეორიისაგან განსხვავებული საკუთარი ლოგიკა, მაგრამ მათი ურთიერთპირისპირება არ შეიძლება. ეკონომიკური პოლიტიკა ემყარება ეკონომიკური თეორიის პოსტულატებს, ხოლო ეს უკანასკნელი – ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებით ფუნქციონირების ფუნდამენტური მაცოცხლებელი არტერიაა. ეკონომიკის წარმატებული, მდგრადი განვითარების პირობებში, სულ უფრო მეტად, სიღრმისეულად გაიხსნება ეკონომიკურ კანონთა და კატეგორიათა არსი, ფართო გასაქანი მიეცემა მათ მოქმედებას, რაც, საბოლოო ანგარიშით, ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ ურთიერთობათა ღრმად გაგების და სამეურნეო პოლიტიკაზე, ეკონომიკურ პროცესებზე უფრო ეფექტიანად ზემოქმედების და მისი უფრო სრულყოფილი ან კიდევ სრულიად ახალი მეთოდებითა და ინსტრუმენტებით შეიარაღების შესაძლებლობას იძლევა. ეს სავსებით გასაგებია, რამეთუ ეკონომიკური თეორიის კატეგორიათა დიალექტიკა არის არა სქოლასტიკური გაგებებით, არამედ რეალურად არსებული წარმოებითი ურთიერთობების ცნებებით ასახვის პროცესი, ე.ი. ადეკვატური მეცნიერული აბსტრაქციები, დასკვნები თუ აზრის სქოლასტიკური თვითმობრახობის შედეგი კი არა – არამედ რეალურად არსებული კონკრეტული ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენების ადეკვატური ასახვა. სწორედ ამით ვლინდება ეკონომიკური თეორიის მჭიდრო კავშირი სამეურნეო პოლიტიკასთან, რაც მეცნიერების ინტენსიურ განვითარებაზე, მისი შემეცნების გაღრმავებაზე მიაჩნდება. აქედან ცხადია, რომ რაც უფრო ღრმა და ფართოა არსებით (ძირითად) კატეგორიათა წრე, მით უფრო მეტი შესაძლებლობები იქმნება სრულად გავიგოთ ეკონომიკურ ურთიერთობათა არსი, მათი პერსპექტიული განვითარების მიმართულებები, და როგორც შედეგი – მით უფრო მეტად შევაიარაღოთ სამეურნეო პრაქტიკა ახალ-ახალი მეცნიერული დასკვნებითა და რეკომენდაციებით.

სწორედ ამ მოთხოვნათა რეალიზაციას ემსახურება ბოლო პერიოდში ეკონომიკურ თეორიაში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესები, რომლის მიზანია რესურსების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა, ინფლაციის შემსუბუქება, უმუშევრობის დაძლევა და სხვა. თანამედროვე ეკონომიკურ-თეორიული სკოლები (კეინზიანელობა, ნეოკლასიკური, ინსტიტუციურ-სოციოლოგიური) ვითარდება კვლევისადმი უწინდელი მიდგომების გადასინჯვით, ურთიერთისაგან კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპების სესხებით, სხვადასხვა სკოლის თეორიულ დებულებათა სინთეზით. თუმცა, ის არ გამორიცხავს მათ შორის ჯანსაღ კონკურენციას თეორიებში ლიდერობისათვის, რათა სამეურნეო პრაქტიკა მას ემყარებოდეს.

დაბოლოს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურ თეორიათა მრავალფეროვნების მიუხედავად, არც ერთს არ შეუძლია უნივერსალურობის პრეტენზია ჰქონდეს.

**Gogkhia Revaz**

*Doctor of Economic Sciences, Professor*

## **REGARDING THE ISSUE OF GENESIS OF ECONOMIC THEORY**

### **Summary**

The foundations of economic theory (Political Economy) had been developing for centuries. The modern economic theories are characterized with permanent perfection of the methods and tools of perception of economic reality which is quite a natural process. Nevertheless, on the boundary of the 20<sup>th</sup> and 21<sup>st</sup> century economic theory failed to suggest the economic practice the economic paradigms and effective recommendations for resolving acute socio-economic problems. Regarding this issue the article highlights the fact that reconsideration of old scientific reserve, new approaches to researches, striving for development of new directions is characteristic for post-socialist countries, including Georgia (V. Papava and others).

***Britchenko Igor***

Doctor of Economic Sciences, Professor,  
Academician of the National Ukrainian Academy,  
Director of the Interdisciplinary Institute  
for Training and Retraining Specialists of  
Poltava University of Economics and Trade (Ukraine)

***Olshantseva T.***

Deputy Director of the Interdisciplinary Institute  
for Training and Retraining Specialists of  
Poltava University of Economics and Trade (Ukraine)

## **BUSINESS EDUCATION IN A GLOBALIZED EDUCATIONAL MARKET**

### **INTRODUCTION**

Over the last century globalization has resulted in major changes in the standard of living around the world through trade and the exploit of comparative advantages. The process has spread to the service industry which includes education.

In fact, originated in the early twentieth century MBA (Master of Business Administration) gradually become a key to success in big business-education, because the basic concepts and approaches in business, common throughout the world. In a sense, the top MBA business education becomes one of the most important things. Today, about two thousand higher education institutions in the world offering more than four thousand different programs, at which graduates get an MBA.

### **RESULTS**

The Master of Business Administration is a master's degree in business administration, which attracts people from a wide range of academic disciplines. The MBA designation originated in the United States, emerging from the late 19th century as the country industrialized and companies sought out scientific approaches to management. The core courses in the MBA program are designed to introduce students to the various areas of business such as accounting, finance, marketing, human resources, operations management, etc. Students in MBA programs have the option of taking general business courses throughout the program or can select an area of concentration and focus approximately one-fourth of their studies in this subject.

Accreditation bodies exist specifically for MBA programs to ensure consistency and quality of graduate business education. Business schools in many countries offer MBA programs tailored to full-time, part-time, executive, and distance learning students, with specialized concentrations. Business schools or MBA programs may be accredited by external bodies which provide students and employers with an independent view of their quality, and indicate that the school's educational curriculum meets specific quality standards. The three major accrediting bodies in the United States are Association to Advance Collegiate Schools of Business (AACSB), which accredits research universities, the Accreditation Council for Business Schools and Programs (ACBSP), which accredits universities and colleges, and the International Assembly for Collegiate Business Education (IACBE), all of which also accredit schools outside the US. The AACSB, the ACBSP, and the IACBE are themselves recognized in the United States by the Council for Higher Education Accreditation (CHEA). MBA programs with specializations for students pursuing careers in healthcare management also eligible for accreditation by the Commission on the Accreditation of Healthcare Management Education (CAHME).

In the United States, an MBA program may also be considered accredited on the institutional level. Bodies that accredit institutions as a whole include the Council for Higher Education Accreditation (CHEA): Middle States Association of Colleges and



Schools (MSA), New England Association of Schools and Colleges (NEASCSC), Higher Learning Commission of the North Central Association of Colleges and Schools (HLC), Northwest Commission on Colleges and Universities (NWCCU), Southern Association of Colleges and Schools (SACS), and Western Association of Schools and Colleges (WASC).

Accreditation agencies outside the United States include the Association of MBAs (AMBA), a UK based organization that accredits MBA, DBA and MBM programs worldwide, government accreditation bodies such as the All India Council for Technical Education (AICTE) that accredits MBA and PGDM programs across India, the Council on Higher Education (CHE) in South Africa, the European Foundation for Management Development operates the European Quality Improvement System (EQUIS) for mostly European and Asian schools, and the Foundation for International Business Administration Accreditation (FIBAA) in Europe.

In 1957, INSEAD (French name "INstitut Européen d'Administration des Affaires", or European Institute of Business Administration) became the first European university offering the MBA degree, followed in 1959 by ESADE, ICADE in 1960 (who had started offering in 1956 a "Technical Seminary for Business Administration"), IESE (first two-year program in Europe) in 1964, UCD Smurfit Business School in 1964, Manchester Business School and London Business School in 1965, The University of Dublin (Trinity College), the Rotterdam School of Management in 1966, the Cranfield School of Management in 1967 and in 1969 by the HEC School of Management (in French, the *École des Hautes Études Commerciales*) and the Institut d'Etudes Politiques de Paris. In 1972, Swiss business school IMEDE (now IMD) began offering a full-time MBA program, followed in 1974 by AGH University of Science and Technology in Cracow, Poland. In 1991, IEDC-Bled School of Management became the first school in the ex-socialist block of the Central and Eastern to offer an MBA degree. Because of technology advances, distance or online MBA programs have recently emerged in Europe. Several business schools in the United Kingdom now offer distance MBA programs. In 2007, ESCEM became the first French Business school to offer their own distance or online MBA. See List of business schools in Europe

In Europe, the recent Bologna Accord established uniformity in three levels of higher education: Bachelor (three years), Masters (one or two years in addition to three or four years for a Bachelor), and Doctorate (an additional three or four years after a Masters). Students can acquire professional experience after their initial bachelor degree at any European institution and later complete their masters in any other European institution via the European Credit Transfer and Accumulation System.

Accreditation standards are not uniform in Europe. Some countries have legal requirements for accreditation (e.g. most German states), in some there is a legal requirement only for universities of a certain type (e.g. Austria), and others have no accreditation law at all. Even where there is no legal requirement, many business schools are accredited by independent bodies voluntarily to ensure quality standards.

In Austria, MBA programs of private universities have to be accredited by the Austrian Accreditation Council. State-run universities have no accreditation requirements, however, some of them voluntarily undergo accreditation procedures by independent bodies. There are also MBA programs of non-academic business schools, who are entitled by the Austrian government to offer these programs until 2010. Some non-academic institutions cooperate with state-run universities to ensure legality of their degrees.

January 1999 saw the first meeting of the Association of the Czech MBA Schools (CAMBAS). The Association is housed within the Centre for Doctoral and Managerial Studies of UEP, Prague. All of the founding members of the Association to have their MBA programs accredited by partner institutions in the United Kingdom or United States of America.

In Finland, as in most countries, MBA does not have the status of official degree. MBA

programs are run by various universities including the top universities in the country.

In France and in the Francophone countries such as Switzerland, Monaco, Belgium, and Canada, the MBA degree programs at the public accredited schools are similar to those offered in the Anglo-Saxon countries. Most French Business Schools are accredited by the Conférence des Grandes Écoles, which is an association of higher educational establishments outside the mainstream framework of the public education system.

Germany was one of the last western countries to adopt the MBA degree. In 1998, the Higher Education Framework Act, a German federal law regulating higher education including the types of degrees offered, was modified to permit German universities to offer master's degrees. The traditional German degree in business administration was the Diplom in Betriebswirtschaft (Diplom-Kaufmann; Master's degree equivalent) but since 1999, bachelor's and master's degrees have gradually replaced the traditional degrees (see Bologna process). Today most German business schools offer the MBA. Most German states require that MBA degrees have to be accredited by one of the six agencies officially recognized by the German Akkreditierungsrat (accreditation council), the German counterpart to the American CHEA. The busiest of these six agencies (in respect to MBA degrees) is the Foundation for International Business Administration Accreditation (FIBAA). All universities themselves have to be institutionally accredited by the state (staatlich anerkannt).

Italian MBAs programs at public accredited schools are similar to those offered elsewhere in Europe. Italian Business Schools are accredited by EQUIS and by ASFOR. There are several MBA programs offered in Poland. Some of these are run as partnerships with American or Canadian Universities. For example, the CEMBA program is run by the Warsaw School of Economics and the University of Quebec at Montreal, Warsaw-Illinois Executive MBA (WIEMBA) run as partnership of University of Warsaw and University of Illinois at Urbana-Champaign. Others like the programs offered by the Institute of Economics of the Polish Academy of Sciences (INE PAN) rely on their own faculty and enrich their courses by inviting visiting lecturers. The CEMBA, WIEMBA and INE PAN programs as several other programs in Poland, are offered also in English.

Recently MBA programs appeared in Ukraine where there are now about twenty schools of business offering a variety of MBA programs. Three of these are subsidiaries of European schools of business, while the remaining institutions are independent. Ukrainian MBA programs are concentrated mainly on particulars of business and management in Ukraine. For example, 2/3 of all case studies are based on real conditions of Ukrainian companies.

The UK based Association of MBAs (AMBA) was established in 1967 and is an active advocate for MBA degrees. The Association's accreditation service is internationally recognised for all MBA, DBA and Masters in Business and Management (MBM) programs. AMBA also offer the only professional membership association for MBA students and graduates. UK MBA programs typically consist of a set number of taught courses plus a dissertation or project.

American edition of Financial Times (FT) has prepared an annual ranking of business schools with the best programs of Executive MBA (EMBA) for CEO's. It differs from the MBA because it is specifically designed for managers. Such degree is a kind of golden key that opens career doors easily to international companies. As FT experts have calculated, average annual salary of graduates is approximately equal to the cost of education. For this reason, it is unlikely that rate of EMBA can be cheap. For example, the minimum price for studying at the London Business School during the year is \$ 60.000. Thus, the top ten included the following business schools which are outlined in Table 1:

**Table 1.** Financial Times annual ranking of business schools with the best programs of Executive MBA

№	Current rank	3 year average	School name	Country	Salary(\$)	Salary growth
1.	1	1	Kellog / Hong Kong UST Business School	China	419.416	63
2.	2	2	Trium: HEC Paris / LSE / New York University: Stem	France / UK / US	307.808	58
3.	3	3	Columbia / London Business School	US/UK	259.833	85
4.	4	4	Insead	France / Singapore / U.A.E.	219.441	60
5.	5	5	University of Chicago: Booth	US/UK Singapore	219.736	70
6.	6	8	Duke University: Fuqua	US	254.564	54
7.	7	7	University of Pennsylvania: Wharton	US	220.704	62
8.	8	7	IE Business School	Spain	177.026	153
9.	9	-	UCLA / NUS	USA / Singapore	232.928	72
10.	10	8	London Business School	UK / U.A.E.	180.409	79

Despite clouds hanging over Western economies, 2011 represents a stellar year with a 36% growth in MBA demand worldwide, well ahead of the long-term trend growth rate of 15% per annum QS TopMBA has reported since 1990, according to the largest survey of MBA employers ever conducted. MBAs are playing a central role in the battle for global economic supremacy, with economic growth in emerging markets fuelling worldwide demand for MBAs.

QS is the world's leading information network for top careers and education. QSlinks high achievers from the graduate, MBA and executive communities around the world with leading business schools, postgraduate departments at universities and with employers, through websites, events, e-guides and technical solutions. The QS Global Employer Survey shows a 36% increase overall in MBA job opportunities in 2011, a turnaround from the 5% decline experienced in 2009. The QS TopMBA.com Jobs & Salary Trends Report shows that across Asia and Latin America, employers are embracing MBAs as never before with the trend seen across all major industries, supplemented by a gradual recovery in demand in other regions. Up to the third quarter of 2011, MBA demand has remained insulated from the volatility affecting financial markets in Europe and North America. MBA demand is expanding as the qualification is embraced by employers in Asia, particularly India and China. India remains the hot MBA market in 2011, experiencing an explosion in employer demand (up 24% in 2011 and 43% in 2010) especially in consulting and professional services, manufacturing, IT/computer services and microfinance.

MBA jobs within Latin America are also becoming much more plentiful as the region is set to utilize MBAs as a key talent pool. Latin American companies are battling to internationalize and enter the Asian markets, in particular, Mexico; reporting 103% increase in MBA demand this year.

In the USA, 2011 MBA demand is picking up quickly with a 24% jump in MBA opportunities reported by employers, albeit employers are cautious about 2012. In the first half of the year, although the USA saw lower growth than the emerging markets in percentage terms, the country still remains the largest market for MBA employment.

Despite continuing economic uncertainty and hiring restraint on the part of banks, MBA demand in Western Europe in 2011 is strong, with particular dynamism in the UK (34% growth) and Germany (28% growth), fuelled by the consulting and industrial sectors. However MBA demand in Central and Southern Europe is flat. In particular, demand for MBAs in Russia has slowed down after a couple of years of heady recruitment fuelled by an energy boom. As uncertainty over the financial stability increases, it is likely that MBA recruitment in the region will become more cautious.

MBA consulting jobs are back at record levels in 2011, with a 28% jump in demand. A 17% jump in demand is forecast in 2012. MBA jobs in financial services won't be far behind with a 27% actual increase in 2011 and a further increase of 14% forecast in 2012. Demand for MBAs in the technology sector is recovering, with IT/computer services jobs recording a 34% jump in demand this year, and a slower 10% increase forecast for 2012 (a concentration of this growth being in Asia with big US employers actively hiring in the region).

The high technology/electronics sector is also growing at 28% 2011 year and a further 17% in 2012. However, growth in telecommunications is much slower with 21% 2011 year and even a 6% decline is forecast for 2012. MBA jobs in pharmaceuticals and healthcare declined in 2010 but are recovering in 2011 with growth of 20% followed by a 26% growth forecast in 2012. The 2011 research reveals that employers continue to seek more experienced MBA candidates, preferably with international experience, combined with strong interpersonal and “soft” skills.

Having analyzed various definitions of international entrepreneurship by different scholars and considering huge potential for improvements Oviatt and McDougall (2005) came up with the following definition: 'International entrepreneurship is the discovery, enactment, evaluation, and exploitation of opportunities-across national borders-to create future goods and services'.

#### **Conceptual Frameworks of Entrepreneurial Internationalization**

After authors defined international entrepreneurship Oviatt and McDougall (2005) move further toward conceptualization of internationalization speed. The internationalization speed that considers initial entry, country scope and commitment, is affected by three major forces:

moderating knowledge on foreign market and intensity, moderating network relationships considering tie strength, network size, network density, and mediating entrepreneurial actor perceptions. The last one, mediating entrepreneurial actor perceptions is attained by enabling technology, motivating competition and entrepreneurial opportunity. The authors clearly show in the model that internationalization process begins once the entrepreneurial opportunity has arisen or seen. Thus, the main forces are enabling, motivating, mediating, and moderating. The authors advise entrepreneurship scholars to cooperate with international business scholars and vice versa, in order to explore further dual nature of international entrepreneurship: entrepreneurship and internationalization.

Jones and Coviello (2005) propose three stages in conceptualization in research of international entrepreneurship. The authors refer to McDougal and Oviatt's (2000, cited in Jones & Coviello, 2005) definition of international entrepreneurship as 'a combination of innovative, proactive and risk-seeking behavior that crosses national borders and is intended to create value in organizations'. Jones and Coviello (2005) highlight the idea that 'Although internationalization research is well developed, research specifics to international entrepreneurship may require an element of paradigmatic shift and a fresh research lens in order to understand how international firms develop competitive advantage through entrepreneurial behavior, and how entrepreneurial firms can operate internationally'. The authors agree with the idea of McDougal and Oviatt's (2000, cited in Jones & Coviello, 2005) that research on international entrepreneurship lacks clear theoretical background. Hence, they follow the suggestion of Buckley (2002, cited in Jones & Coviello, 2005) that it is recommended to incorporate results of international business research with entrepreneurship concepts. In their paper, Jones and Coviello (2005) aimed to come up with an integrative conceptual model employing concepts from international business and entrepreneurship. As the paper aimed, the scholars developed three stage of conceptual development. The first is developing simple conceptual model of entrepreneurial and internationalization process. Different scholars (Andersen, 1993; Casson, 2000; Oviatt and McDougall, 1994; Knight and Cavusgil, 2004; Schumpeter, 1934; Shane and Venkataraman, 2000; cited in Jones & Coviello, 2005) refer to innovation as a critical factor for entrepreneurial and international activities. Hence the authors refer to Brazeal and Herbert (1999, cited in Jones & Coviello, 2005) focusing on innovation, change and creativity for a simple model of entrepreneurial process.

In Brazeal and Herbert's (1999, cited in Jones & Coviello, 2005) simple model of entrepreneurial sequence, environmental change is followed by innovation with human volition cycle in between (this concerns more technical innovation). Once sufficient innovation occurs, the next step is behavioral innovation described in psychological literature. Creativity is a driving force from technological innovation and the behavioral innovation. The outcome of this process is the entrepreneurial event, found in business literature.

Jones & Coviello's (2005) simple model gives new insights in the conceptual framework where environmental changes is followed by process of mode choice and country selection with organizational learning cycle in between. After the process is sufficient enough the next step is decision on mode and country selection that leads to entrepreneurial event as an outcome. The last model is enhanced by organizational learning and decision making traits. Both models are process based, however they do not consider factors of specific influence of environment, firm or entrepreneur. The both models were used by the authors to develop a general model of conceptualization.

The authors argue that positioning time and behavior is important in developing general conceptual models as these two dimensions are main aspects in entrepreneurial



internationalization. In difference with simple linear models, a general nonlinear model considers different variables in internationalization process within the two main dimensions: time and behavior. These variables consist of philosophic view, social capital, human capital, structure, resources, product offer, market characteristics, financial and non-financial measures, etc.

The authors conclude that the general conceptual model can be used as a base for precise models for empirical investigations taking into consideration more focused and manageable constructs. As an example of the precise model the authors present the model to investigate interrelations of the entrepreneur, the firm, internationalization behavior, and performance. The authors once again emphasize the importance of understanding the commonalities of entrepreneurship and internationalization and suggest the scholars to employ the concepts from both areas.

### **Empirical Research**

In their research, Coviello and Munro (1995) focus on network importance in exploring foreign market development by entrepreneurial high-technology firms. The authors emphasize that network phenomena is essential for smaller firms whose growth is dependant on relationships. Johanson and Mattsson (1988, cited in Coviello & Munro, 1995) suggest that a firm's success in internationalization more depends on its relations with its current domestic and international networks, than on its chosen new market characteristics. The firm can extend its markets relying on its current networks. 'Network theory leads one to examine a variety of internationalization issues. These include, for example, the impact of network relationships on foreign market selection and the relative influence of other firms (in both direct and indirect relationships) on new market entry strategies (Coviello & Munro, 1995). Thus, as the authors suggest that there is much to research on networking for entrepreneurial internationalization.

The purpose of the study was to learn the impact of networking on international market development and marketing related activities within international markets (Coviello & Munro, 1995). Two sources of data were used as an empirical background for the research: four case studies on New Zealand software entrepreneurial firms and structured mail survey of much younger software firms at earlier stage of internationalization.

The research was guided by two research questions: 1) *What was the impact of network relationships on international market development?* And 2) *How did network relationships impact on marketing-related activities?*

For the first question the results for both sets of data supported each other. Namely, as the authors summarized internationalization endeavor of software firms are shaped by their network players and relationship. 'Market performance, particularly in priority markets, contributed to power plays within networks and also attracted the interests of newcomers wanting to establish new relationships' (Coviello & Munro, 1995).

The results for the second question also supported each other from both sets of data. 'Establishing and utilizing relationships with other firms is seen by these entrepreneurial organizations as effective means for harnessing a marketing infrastructure and leveraging marketing capabilities, two areas of known weakness in smaller high-technology companies. Further, relationships are important to accelerating access and entry into new markets' (Coviello & Munro, 1995).

As the authors conclude, internationalization process of entrepreneurial firms is enhanced by going beyond the firm's individual effort into the network and relationship within the network. Network contact (both formal business related and informal personal relations) is a key element for foreign market selection and entry rather than exclusively managerial decisions.

For further research Coviello and Munro (1995) suggest to address the following questions: 1) 'the influence of early network partners on the internationalization process, particularly in the areas of market development and marketing activities'; and 2) 'growth management issues faced by small entrepreneurial firms linked with large non-entrepreneurial firms (e.g. how small entrepreneurial firms can best manage international market development and growth, with less direct control over marketing operations)'.

Coviello and Munro (1997) expanded further their research on network influence on internationalization process. The paper provides the framework on network implications on internationalization based on empirical research.

As Axelsson and Easton (1992, cited in Civiello & Munro, 1997) define a network involves 'sets of two or more connected exchange relationships'. Based on this basic definition, Coviello and Munro (1997) view the market as social and industrial relations systems among customers, suppliers, competitors, friends, etc. The researchers aimed to answer '1) how the internationalization process of software firms is manifested in their choice of foreign market and mode of entry; and 2) how network relationships influence the small software firm's choice of market and mode of entry'.

To answer the research questions Coviello and Munro (1997) employed multi-site case methodology. Multiple sources such as interviews, documents, and archived data were used during the research. Sites were chosen according number of characteristics: There were generated New Zealand's four software firm cases that had different products, markets, and success and failure histories. The interviews were conducted with upper level managers.

Finding showed that a three stage international activity was evident in all cases. Namely: At the initial stage (year 0-1) the firms were mostly focused domestically with internationalization intent. At the second stage (year 1-3) the firms were focused and involved in their first foreign markets. At the third stage (beginning at year 3) all four firms were involved in their multiple international market development and growth. In most of the cases (three out of four) cooperation with overseas large partners had been chosen as the entry mode. These relationships rapidly grew into large scale distribution agreements mainly in Australian market that was the geographically closest one. Based on their initial foreign market entry the firms developed multiple cooperation relationships such as distribution, joint marketing, development, etc. At the late internationalization stage (year 5-7) two of out four researched firms established their of-shore sales forces in cooperation with their partner subsidiaries or regional headquarters. Only one firm established its development office in the US, a distant market, as the firm perceived that foreign partnership and network would not be able to serve fully the market for their products. Thus, Coviello and Munro (1997) conclude that despite the expectations generated by various literature and theoretical frameworks, foreign market entry and independent off-shore operations are difficult task for small software firms. Hence, networking is the critical factor for such firms' growth.

In terms of network influence on internationalization and entry mode of small software firms, Coviello and Munro's (1997) findings point out that network relationships, formal and informal, are very much influential on their internationalization stages and entry modes. The

authors conclude that the process of small firms' internationalization differs from that discussed in various literatures, namely:

- ‘ It is very rapid , with firms established and committed internationalist in a little as three years,
- It is characterized by only three ‘stages’, beginning with foreign market intention, and excluding extensive foreign market trial, experimentation, or evaluation, and
- It is characterized by small firms making simultaneous use of multiple and different modes of entry; mechanisms which are part of a larger firm's international network’.

As an explanation of their findings Coviello and Munro (1997) see their researched firms as ‘international new ventures’ described by Oviatt and McDougal (1994), which are competing in rapidly growing and changing international markets.

Loane and Bell (2006) acknowledge the importance of networks in internationalization of entrepreneurial firms; however they see the lack of research in identifying the importance of establishing new networks while going international. The authors emphasize that scholars mostly focus on research on exploiting existing networks while making internationalization attempts. The scholars intended to investigate whether the small firms solely rely on existing firms as a major support for their internationalization or they are engaged in establishing new networks as well.

For the purpose of sample selection for the study, the authors define “rapid internationalizes” as “those new ventures that exhibit an innate propensity to engage in a meaningful level of international business activity at or near inception with the intent of achieving strategic competitive advantage” following Oviatt and McDougall (1994). Furthermore, one of the criteria of sample selection was having 25% of international revenues out of total, during the first six years in business. This concept of international firms was by Shrader et al. (2000, cited in Loane & Bell, 2006). Other three criteria for sampling applied: The firms had to have less than 250 employees, independent operations (not being subsidiaries or branches), and an internet presence via their own websites (for the purpose and methodology of research). The scholars employed multi-stage and multi-method approach. After an initial screening they selected 218 firms in four different countries (Australia, Canada, Ireland, and New Zealand) according their research criteria for sample and a database was formed.; Then CEOs were contacted by telephone and asked to complete company information sheets e-mailed later. The researchers obtained 143 replies. After analysis 57 sub-sample firms were selected for further investigation. The main focus of analysis was on network influence and network building activities.

The study finds that existing social and business networks are important resources for the small internet enabled firm. This includes intrafirm, personal, social networks, etc. The result supports the works of many scholars (Johanson and Mattsson, 1993; Johanson and Vahlne, 1992; Blankenburg and Johanson, 1992; Coviello and Munro, 1995, 1997; Chetty and Blankenburg Holm, 2000; Blomstermo et al., 2004a, b; cited in Loane & Bell, 2006). However, irrespective the fact that many firms understand the importance of networks, many of them didn't have any network when they started the business. This was mainly backed by the fact that these firms offered completely different new products in global markets. As a main finding of their study the authors indicate that ‘the firms were engaging with networks at many levels, leveraging those that were of use, building new networks when required, and acquiring the human capital that would facilitate these networking objectives’ (Loane & Bell, 2006).

Musteen, et al. (2010) studied implications of international networks on internationalization speed and performance of SMEs. The authors share the idea of many international entrepreneurship scholars that due to limited resources and size of the firm entry mode and internationalization speed differs from established multinational companies. One of the major differences is networking. SMEs generally use more network relations than typical multinationals. The main reasons for network reliance is that SMEs possess limited knowledge and experience on international markets, inability of employing experts in the international fields. The authors conducted empirical research to identify network influences on SME internationalization speed and performance.

The authors had derived following hypothesis:

‘Hypothesis 1a.

The proportion of personal ties in the international network of SME CEOs will be positively associated with the speed of firm internationalization.

Hypothesis 1b.

The proportion of personal ties in the international network of SME CEOs will be negatively associated with performance of the first international venture.

Hypothesis 2a.

The degree to which SME CEOs share a common language with their international ties will be positively associated with the speed of internationalization.

Hypothesis 2b.

The degree to which SME CEOs share a common language with their international ties will be positively associated with the performance of their first international venture.

Hypothesis 3a.

The degree of geographic diversity of SME CEOs’ international ties will be negatively associated with the speed of internationalization.

Hypothesis 3b.

The degree of geographical diversity of SME CEOs’ international ties will be positively associated with the performance of the first international venture.’

For sampling the researchers selected 586 Czech SMEs operating in various manufacturing industries with less than 250 employees. The SMEs were founded after 1989 fall of communist regime. CEOs or founders were selected as potential respondents for the study. The questions were mailed to the respondents. Taking into consideration non-response rate and non-valid responses, finally the valid responses from 155 respondents were selected. These SMEs represented a wide range of manufacturing firms. After data processing and analysis the following findings were drawn:

Personal ties of CEOs do not affect the speed of internationalization (not supporting H1a). H1b was supported at the first initial stages of firm’s performance. Namely, network range, importance on cost and, to some extent, international experience of CEOs are positively associated with the performance of the first international venture, however weaker ties in a later stage give the firms more opportunities to explore diverse markets and growth potential.

The language congruence positively contributes to faster internationalization (Supporting H2a). However, language commonality is not an influential factor on better performance (not supporting H2b).

The research results did not support the H3a that geographical diversity negatively influences on internationalization speed. At the same time high positive association between international network diversity and the performance was found (supporting H3b).

The research is confirming that networks (both formal and informal) are beneficial and sometimes critical for SMEs in Central and East European countries that have to compete with well established multinationals in the global market.

### Conclusion

The vast majority of SMEs are founded with an entrepreneurial spirit going global; however due to their limited resources such as capital, human resources, foreign market knowledge, etc. it is difficult for them to explore off-shore markets alone. Theoretical concepts and various empirical findings observe networks as significant tools for entrepreneurial internationalization. All types of networking such as formal, informal, business, friendship, etc., are perceived as a ground for SMEs to begin with when going international. Networks influence the speed, entry mode and performance of small firms.

Contacts within networks are major factors for foreign market selection and entry rather than solely managerial decisions. It is observed that both, relying on existing networks and creating new networks, are important for entrepreneurs. Thus, the scholars' works have practical implications for managers. The managers should carefully evaluate their contacts, use the opportunities of existing relationships and build further links in order to exploit fully the benefits of various present or future partners.

### References

1. Coviello, N.E., Munro, H., 1995, Growing the entrepreneurial firm: networking for international market development, *European Journal of Marketing*, 29(7): 49-61
2. Coviello, N.E., Munro, H., 1997, Network relationships and the internationalisation process of small software firms, *International Business Review*, 6(4): 361-368
3. Jones, M.V., Coviello, N.E., 2005, Internationalisation: conceptualising an entrepreneurial process of behaviour in time. *Journal of International Business Studies*, 36: 284-303
4. Loane, S., Bell, J., 2006, Rapid internationalisation among entrepreneurial firms in Australia, Canada, Ireland and New Zealand: an extension to the network approach, *International Marketing Review*, 23(5): 467-485
5. Musteen, M., Francis, J., Datta, D.K., 2010, The influence international networks on internationalization speed and performance: a study of Czech SMEs, *Journal of World Business*, 45: 197-205
6. Oviatt, B.M., McDougall, P.P., 1994, Toward a theory of international new ventures, *Journal of International Business Studies*, 25(1): 45-64
7. Oviatt, B.M., McDougall, P.P., 2005, Defining International Entrepreneurship and modelling the speed of internationalization, *Entrepreneurship Theory and Practice*, 29(5): 537-554.

**თბილისის ტურისტული კლასტერის განვითარების შესაძლებლობები**

ეროვნული კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები მრავალფეროვნებითა და კომპლექსურობით გამოირჩევიან. კონკურენტუნარიანობის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია კაპიტალის დაბანდებისათვის სექტორების, შემდეგ კი მის შიგნით საწარმოთა სწორად შერჩევა. სექტორების კონკურენტუნარიანობის, ზოგადად კლასტერის – კერძო და საჯარო სუბიექტების დამაკავშირებელი სისტემის ეფექტიანობაზე დიდ გავლენას ახდენს ადამიანური და სოციალური კაპიტალი, ტექნიკური პროგრესი, ინოვაციები, ბიზნესის ხელსაყრელი გარემო, საწარმოო გამოცდილება, არსებული მოთხოვნა, პროდუქტისა და ბაზრის დივერსიფიკაცია და სხვა. კლასტერები წარმოადგენენ ერთ გეოგრაფიულ არეალში კონცენტრირებული ერთი განსაზღვრული დარგის ურთიერთდაკავშირებული კომპანიებისა და ინსტიტუტების ერთობლიობას, რომლებსაც საერთო ფაქტორები და შემცველები აერთიანებთ<sup>12</sup>.

კლასტერების შემადგენელი ერთეულები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და, როგორც წესი, ერთმანეთის სიახლოვეს არიან განლაგებული. გეოგრაფიული სიახლოვისა და მათი საქმიანობის ურთიერთკავშირის გამო კლასტერში შემაჯავალი ერთეულები სარგებლობენ ექსტერნალიებისა და სინერგიული ეფექტის ცალკეული ეკონომიკური უპირატესობებით. ამ უპირატესობებს მიეკუთვნება კვალიფიციური ადამიანური რესურსები, მიმწოდებლები და ა.შ.

კლასტერულ ინიციატივებს შეუძლიათ ხელი შეუწეონ ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, კერძოდ, რეფორმებს, სავაჭრო პოტენციალის შესწავლას, საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგს, რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას, შრომითი რესურსების შესწავლას და ა.შ. დროდადრო ისინი ხდებიან ეკონომიკური რეფორმების საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის, მედიასთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სახელმწიფო სექტორის წარმოდგენელებთან თანამშრომლობის ინდიკატორები.

კონკურენტუნარიანობასთან მიმართებაში ეკონომიკურმა კონცეფციამ წინ წამოსწია კლასტერების მნიშვნელობა. კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს საწარმოო ეკონომიკის მამოძრავებელ ძალას და დამოკიდებულია ეროვნული პროდუქტის მოცულობაზე, რომელიც იზომება საერთაშორისო ბაზრებზე პროდუქტის ფასისა და წარმოების ეფექტიანობით. დღეს საერთაშორისო ბაზრებზე კონკურირებენ კომპანიები და არა ქვეყნები<sup>13</sup>. კომპანიის წარმატება კი დამოკიდებულია ეკონომიკურ გარემოზე, მომიჯნავე ინსტიტუტებსა და სახელმწიფო პოლიტიკაზე. ეროვნული და რეგიონული კონკურენტუნარიანობა, თავის მხრივ, დამოკიდებულია კომპანიების წარმატებაზე. რამდენადაც არ უნდა იყოს იზოლაციაში ცალკე მდგომი ფირმა, წარმატებული ვერ იქნება, იგი დამოკიდებულია მომიჯნავე ინსტიტუტებსა და აგენტებზე, რომელთა ქცევაც მოქმედებს ფირმის საქმიანობაზე, აგრეთვე საკუთარი კავშირებისა და სინერგიის ეფექტზე.

სამეწარმეო კლასტერების განვითარება ხშირად ათწლეულების მანძილზე სპონტანურად ხდებოდა. კარგად დაგეგმილმა კლასტერულმა ინიციატივამ

<sup>12</sup> M. Porter, *The Competitive Advantage of Nations*, New York, NY: Free Pass, M.E 1998, p 78.

<sup>13</sup> M. Porter, *The Competitive Advantage of Nations*, New York, NY: Free Pass 1990.

შესაძლებელია დაანქაროს პროცესი. კლასტერული ინიციატივა მოიცავს კლასტერის ბაზრის, პროდუქტების, ექსტერნალიებისა და სინერგიული ეფექტის შეფასებას. იგი ახდენს ნორმატულ და ბიზნეს შეზღუდვების გამოვლენას, შესაძლებლობას იძლევა გამოვლინდეს ახალი ბაზარი და უკვე ათვისებულ ბაზარზე გაფართოვდეს წილი, შემუშავდეს ბიზნესის ეფექტიანი სტრატეგია კონკურენციისათვის. სტრატეგიული კვლევა განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნისა და კლასტერისთვის. იგი ძირითადად ბაზრის შესწავლის, სამუშაო ბაზრის განვითარების, მიმწოდებელთა ქსელის გაუმჯობესების, ხარისხის სტანდარტების, შემდგომ ინტეგრაციასა და სხვა ფაქტორებზე ფოკუსირდება. კვლევა ხელს უწყობს კონკურენციის ამადლების ხელისშემშლელი ინსტიტუციური და ბრკოლებებისა და გასატარებელი რეფორმების გამოვლენას. კლასტერების დონეზე დიალოგით შესაძლებელია ახალი პარტნიორული კავშირების გამოვლენა კლასტერების ლიდერებსა და საჯარო სექტორს შორის. ხელისუფლება რეაგირებს კლასტერებიდან წამოსულ ინიციატივაზე, პასუხობს მას საჭირო რეფორმებით. ამ გზით გატარებული რეფორმები ხელს უწყობს კლასტერების დამატებით განვითარებას – სპეციალიზირებული ინფრასტრუქტურის გაჩენასა და ქვეყანაში ტექნოლოგიური და სამეცნიერო ბაზის გადრმავებას.

ეროვნული ეკონომიკის მარეგულირებელი კანონმდებლობა დიდ როლს თამაშობს კლასტერების განვითარებაში. კლასტერები, როგორც ადგილობრივი, ასევე ეროვნულ დონეზე ახდენენ გავლენას. მისი განვითარება საჭიროებს ხელისუფლების განშტოების ყველა დონის ჩართულობას. ცალკეულ საკითხებში, როგორებიცაა: ინვესტიცია, განათლება და მიმწოდებელთა ქსელის განვითარება, უშუალოდაა საჭირო ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მოქმედება.

**კლასტერების კომპლექსურობის გამო** დეტალურად განვიხილავთ ქალაქ თბილისის ტურისტული კლასტერის მაგალითს. ტურიზმის კლასტერი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგობრივი კლასტერია. მაკკიზის გლობალური ინსტიტუტის კვლევის მონაცემის მიხედვით, იგი განეკუთვნება მსოფლიოში არსებულ უმნიშვნელოვანეს 6 კლასტერს, რომელთა წილი მთლიანი კლასტერების 70%-ს შეადგენს<sup>14</sup>. ტურიზმის სექტორს მსოფლიო მასშტაბით ზრდის დიდი პოტენციალი გააჩნია. ტურიზმი არა მარტო რეგიონალურ დონეზე წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის სტიმულს, არამედ დიდია მისი მნიშვნელობა ეროვნულ დონეზეც<sup>15</sup>. ქვეყნის გეოგრაფიული და სოციალურ-კულტურული მრავალფეროვნების გამო კვლევები ტურიზმის სფეროში, რომლის განვითარება და კონკურენტუნარიანობა უშუალოდ ამ მახასიათებლებზეა დაფუძნებული, მართებული იქნებოდა არა ქვეყნის, არამედ რეგიონული/ქალაქის მასშტაბებით ჩატარდეს. საერთო ერთსულოვნების გათვალისწინებით ტურიზმის კლასტერი ამადლებს რეგიონის კონკურენტუნარიანობას.<sup>16</sup>

ტურიზმს დიდი მნიშვნელობა გააჩნია დედაქალაქისათვის, რადგან:

- ტურიზმი ქვეყნისთვის პრიორიტეტული მიმართულებაა;

<sup>14</sup> Clusters for Competitiveness, , International Trade Department, World Bank 2009, p.3

<sup>15</sup> Sharpley R. “The Challenges of Economic Diversification Through Tourism: The Case of Abu Dhabi”, International Journal Tourism Research, Vol.4, pp. .2002. 221-235.; Jackson J., “Innovations in Measuring Economic Impacts of Regional Festivals: A Do It-Yourself-Kit”, Journal of Travel Research, Vol. 43, May 2005, PP. 360-367

<sup>16</sup> Porter, M. “Regional Foundations of Competitiveness and Implications for Government Policy”, Paper presented to Department of Trade and Industry Worksshop, April 2002.; Rocha, H. “Entrepreneurship and Development: the Role of Clusters”, Small Business Economics, №23, pp. 363-400

• თავად თბილისი ახლოსაა სხვა ტურისტული დანიშნულების ადგილებთან (კახეთი – ღვინის რეგიონი, მცხეთა - იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლებით, გუდაური – სათხილამურო კურორტი, რომლის განვითარებაზე ზრუნვა თბილისის ხელისუფლების პრეროგატივაა, გუდაურის განვითარების ფონდი კი ქალაქ თბილისის მერიის მმართველობის სფეროში შემაჯავლი საჯარო სამართლის იურიდიული პირია.<sup>17</sup>

• დედაქალაქს გააჩნია ტურისტული ინფრასტრუქტურა, ტურიზმის სფეროში მოქმედი საწარმოები და ადამიანური რესურსი.

ფართო გაგებით ტურიზმის კლასტერში მოიაზრება ტურიზმის ინდუსტრია თავისი ინტერესთა ჯგუფებით. თბილისის შემთხვევაში, ტურიზმის კლასტერში შეიძლება განვიხილოთ:

1. სატრანსპორტო საშუალებების მიმღები პუნქტები: თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, რკინიგზა, ავტოსადგურები. თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან ფრენა ხორციელდება დაახლოებით 35 პუნქტში, დედაქალაქი რკინიგზით უკავშირდება სომხეთსა და აზერბაიჯანს, თურქეთთან დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზის დამთავრების შემდგომ თბილისი ასევე დაუკავშირდება ევროპას, რაც თბილისის, როგორც სარკინიგზო პუნქტის მნიშვნელობას გაზრდის. თბილისში დღესდღეობით არსებობს 5 ავტოსადგური, მათგან ერთი, ცენტრალური, საერთაშორისო მნიშვნელობისაა;

2. საერთაშორისო რეისების განმახორციელებელი ავიაგადამყვანები და ავტოკომპანიები: თბილისის აეროპორტში ფრენას 20-მდე ავიაკომპანია ასრულებს. ბოლო პერიოდში აღინიშნება ავიაგადამზიდების რიცხვის ზრდა, რაც თავისთავად გამოიწვევს კონკურენციის გაზრდასა და მომსახურების ფასების შემცირებას;

3. ტურისტული სააგენტოები: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, მათი რაოდენობა 88-ს შეადგენს, უნდა აღინიშნოს, რომ აქტიურად მოქმედი ტურისტული სააგენტო გაცილებით მცირეა, ბაზარზე გადაუმოწმებული ინფორმაციით რამდენიმე მათგანს მონოპოლური მდგომარეობა უკავია;

4. სასტუმროები: დედაქალაქში დაახლოებით 120-მდე სასტუმროა, ნომრების საერთო რაოდენობა 2600-ზე მეტს შეადგენს, ხოლო საწოლებისა 5300-მდეა, 10-მდე სასტუმრო მიეკუთვნება საერთაშორისო ბრენდს. ამ მონაცემებით თბილისი ჯერ კიდევ ვერ შეძლებს მსოფლიო მასშტაბის სპორტული თუ კულტურული ღონისძიებების მასპინძლობას;

5. თბილისში სხვადასხვა ტიპის მრავალი რესტორანი, კაფე-ბარი თუ სწავი კვების ობიექტია, მათი დიდი რიცხვი მათ მრავალფეროვნებაში არ აისახება. საერთაშორისო ბრენდები მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილნი, არ მოქმედებს მსოფლიოში დანერგილი ხარისხის მინიჭების სისტემები – მზაკერების დეგუსტაცია, მზარეულებისათვის სხვადასხვა რანგების მინიჭება და ა. შ.;

6. ორგანიზაციები (სამეცნიერო-კვლევითი-სასწავლო), რომლებიც დაკავებული არიან ტურიზმის სფეროში კვლევით, ქმნიან ტურიზმის მაღალტექნოლოგიურ პროექტს, ამზადებენ სხვადასხვა კვალიფიკაციის ტურიზმის სფე-

<sup>17</sup> ქალაქ თბილისის მთავრობის დადგენილება №09.01.331, 2011 წლის 19 აპრილი



როს კადრებს, რაც როგორც პირდაპირ, ასევე ირიბად ზრდის თბილისის კონკურენტუნარიანობას ტურიზმის სფეროში;


7. ცენტრალურ (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია) და ადგილობრივ დონეზე მოქმედი ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც ახდენენ ტურიზმის დარგის რეგულირებას და ანხორციელებენ დარგის მასტიმულირებელ პროექტებს;

8. ტურისტული სუვენირების ინდივიდუალური მწარმოებლები, დამოუკიდებელი გიდები;

9. ტურისტული კლასტერი უშუალოდ არის დაკავშირებული კვების კლასტერთან, მსუბუქი მრეწველობის ცალკეულ დარგებთან, ინფრასტრუქტურის სექტორთან და ა. შ.

**ტურიზმის კლასტერზე მოქმედი ფაქტორები**

სქემა 1



მნიშვნელოვანია ტურიზმის კლასტერზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი (იხ. სქემა 1). სქემა 1-ზე წარმოდგენილია ფაქტორები, რომლებსაც უშუალო ზეგავლენა გააჩნია კლასტერის ეფექტიან ფუნქციონირებაზე. ბუნებრივი და კულტურული რესურსები, საქმიანი ტურიზმის შემთხვევაში სამეწარმეო გარემო, წარმოადგენს უშუალოდ ტურისტულ პროდუქტს, რომელთა შეთავაზება ხდება მომხმარებლისათვის - ტურისტებისათვის, ხოლო სხვა ფაქტორების ხელშეწყობით ხდება ამ პროდუქტის შეთავაზება – შესაბამისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, სარეკლამო კამპანია, ხარისხის გაუმჯობესება და ა.შ.

კლასტერის კონკურენციის მთავარ ინდიკატორს პროდუქტიულობა წარმოადგენს<sup>18</sup>, ხანგრძლივ პერსპექტივაში ეს აისახება ქვეყანაში სიცოცხლის სტანდარტზე, რაც, თავის მხრივ, ერთ სულ მოსახლეზე მთლიან ეროვნულ შემოსავალთანაა დაკავშირებული. ტურიზმის პროდუქტიულობა უშუალო კავშირშია ვიზიტორებთან, ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ტურისტული კლასტერის კონკურენტუნარიანობა შესაძლებელია გაიზომოს მისი უნარით, მოიზიდოს ტურისტები. მ. პორტერის მიხედვით განსაზღვრულ ტერიტორიაზე მოქმედი კომპანიების, მათ შორის ტურისტული კომპანიების, კონკურენტული უპირატესობები იზომება ალმასის მეთოდის დეტერმინანტებით: ფაქტორების პირობები, მოთხოვნის პირობები, მონათესავე და მხარდამჭერი სექტორი, სტრატეგია, სტრუქტურა და კონკურენცია.

<sup>18</sup> M. Porter, *The Competitive Advantage of Nations*, New York, NY: Free Pass, 1990,

**ტურიზმის კლასტერისათვის ფაქტორული პირობებია:**

- კვალიფიცირებული კადრები;
- ბუნებრივი და კულტურული ღირსშესანიშნაობები;
- განახლებადი ინფრასტრუქტურა;
- მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან უვიზო რეჟიმი;
- ძვირი ავიაბილეთები.

**მოთხოვნის პირობებია:**

- ხარისხის, უსაფრთხოების გარემოს დაცვის სტანდარტები;
- მომხმარებელთა დაცვის კანონმდებლობა.

**მომიჯნავე დარგები განიხილავს:**

- მასშედიისა და კომუნიკაციის სექტორის განვითარების შესაძლებლობა (ელექტრონული მომსახურება, რეკლამა, ა.შ);
- განვითარებული მსუბუქი მრეწველობა.

ტურიზმის სტრატეგიის შემუშავებისა და მისი სრულყოფილად განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია თბილისის ტურისტული კლასტერის კონკურენტული უპირატესობების გაუმჯობესება და სათანადოდ გამოყენება, აგრეთვე ნაკლოვანი მხარეების აღმოფხვრა, კერძოდ:

- გზების, საკომუნიკაციო საშუალებების, ზოგადად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- თბილისის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილი, გახდეს უფრო ხელმისაწვდომი (დამატებითი სარეკლამო კამპანია - პონტენციური ტურისტების მოზიდვის მიზნით, ავიაბილეთების გაიაფება, ადგილობრივი სასტუმროების საერთაშორისო დასაჯავშნ სისტემებში ჩართვა);
- ტურისტული პროექტების მხარდაჭერა და დარგში ინვესტიციების მოზიდვა;
- უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- ბუნებრივი, კულტურული და ისტორიული რესურსების რეაბილიტაცია.

ამდენად, როგორც ანალიზმა გვაჩვენა, ტურისტული კლასტერი საკმაოდ რთული და მნიშვნელოვანი ურთიერთდაკავშირებული რგოლებისაგან შედგება. მას გააჩნია სუსტი და ძლიერი მხარეები. სისტემას აქვს გარკვეული პრობლემები, რომლებიც გადაჭრას საჭიროებენ. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით. მნიშვნელოვანია კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების ჩართულობაც, კერძოდ, მაღალკვალიფიცირებული კადრების მომზადების, ინოვაციური ტურისტული პროდუქტებისა და სექტორული სტრატეგიების განვითარების მიზნით.

*Sharashenidze Alexander*

*PhD Candidate of Tbilisi State University*

**POSSIBILITIES OF TBILISI TOURISM CLUSTER DEVELOPMENT**

**Summary**

Role of clusters is crucial for the improving of national, regional/urban competitiveness. Tourism cluster is one of the important clusters not only on international but also on national level. It also has great importance for Tbilisi economy. Tbilisi's economic cluster has a range of competitive advantages. However, there is still lack of an appropriate strategy concerning the collaboration of central and local Government and private sector for occupying a suitable niche in the international market.

**ბიზნესისა და მეწარმეობის არსის ზოგიერთი საღისკუსიო საკითხი**

ნებისმიერი მეცნიერება ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული ცნებებისა და კატეგორიების მწყობრ ერთიანობას, ანუ სისტემას წარმოადგენს. შესაბამისად, ყოველი მეცნიერების შესწავლა მათი განსაზღვრით იწყება. ეკონომიკური, განსაკუთრებით კი ბიზნესისა და მენეჯმენტის მეცნიერებებისათვის ფუნდამენტურ ცნებებს წარმოადგენს ბიზნესი და მეწარმეობა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ცნებების გამოყენებას თეორიასა და პრაქტიკაში ხანგრძლივი ისტორია აქვს, ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი შეხედულება მათი არსის შესახებ. განსაკუთრებით საღისკუსიოა ბიზნესისა და მეწარმეობის ურთიერთმიმართების საკითხი. საზღვარგარეთელი და ქართველი ავტორების შეხედულებათა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შევეცდებით საკუთარი პოზიცია ჩამოვაყალიბოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

ახლახანს გამოცემულ „თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ პროფ. რ. ასათიანი წერს: „ბიზნესი - ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობაა, რომელსაც მოგება მოაქვს“.<sup>19</sup> ბიზნესმენი კი არის „კომერსანტი, მეწარმე, რომელიც ბიზნესს ეწევა“.<sup>20</sup> რაც შეეხება მეწარმეობას, აღნიშნული ავტორის აზრით, ეს არის „შემოსავლის, მოგების მიღებისათვის გამიზნული ფიზიკური ან იურიდიული პირის დამოუკიდებელი, კანონით ნებადართული სამეწარმეო (სამეურნეო) საქმიანობა, რომელიც ხორციელდება საკუთარი სახელით, რისკითა და ქონებრივი პასუხისმგებლობით“.<sup>21</sup> შესაბამისად, „მეწარმე არის პირი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას ეწევა“.<sup>22</sup>

მსგავსი განმარტებები აქვს ჩამოყალიბებული პროფ. ა. სილაგაძეს: „ბიზნესი - საქმე, ანტრეპრენიორობა, მეწარმეობა - მოგების მომტანი ეკონომიკური საქმიანობა, საქმიანობის ნებისმიერი ფორმა, რომელსაც მოაქვს შემოსავალი, ან პირადი სარგებელი“.<sup>23</sup> ბიზნესმენი კი განმარტებულია როგორც „საქმიანი ადამიანი, მეწარმე, ანტრეპრენიორი, რომელიც დაკავებულია საკუთარი ბიზნესით. აქვს თავისი საქმე მოგების ან რაიმე სხვა სარგებლის მიღების მიზნით“.<sup>24</sup> მეწარმეობა, პროფ. ა. სილაგაძის განმარტებით, არის „ინიციატივიანი, დამოუკიდებელი, თავისი სახელით, რისკით, ქონებრივი პასუხისმგებლობით, მოქალაქეების, ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობა, რომლის მიზანია შემოსავლის, მოგების სისტემატური მიღება ქონების გამოყენებით, საქონლის გაყიდვით, სამუშაოების შესრულებით, მომსახურების გაწევით“.<sup>25</sup> ბიზნესის ზემოაღნიშნული ორი განმარტება მსგავსებასთან ერთად განსხვავებასაც შეიცავს. კერძოდ, პროფ. რ. ასათიანი ბიზნესის მამოძრავებელ მიზნად მოგების მიღებას მიიჩნევს, პროფ. ა. სილაგაძე კი ნებისმიერ შემოსავალს ან პირად სარგებელს. ჩვენი აზრით, ბიზნესი, როგორც ზოგადად ეკონომიკური (მეურნეობრივი) საქმიანობის ერთ-ერთი ფორმა, კაპიტალიზმის წარმოშობას უკავშირ-

<sup>19</sup> რ. ასათიანი. თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბ., 2012, გვ. 48.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 49.

<sup>21</sup> დასახელებული ნაშრომი, გვ. 232.

<sup>22</sup> იქვე.

<sup>23</sup> ა. სილაგაძე. ეკონომიკური ლექსიკონი. თბ., 2001, გვ. 59.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 60.

<sup>25</sup> იქვე.

დება. ამიტომ მისი მიზანია არა ყოველგვარი შემოსავლის ან პირადი სარგებლის, არამედ მოგების მიღება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბიზნესი, ეკონომიკური საქმიანობისაგან განსხვავებით, ისტორიული ხასიათის ეკონომიკური კატეგორიაა.

ბიზნესისა და მეწარმეობის შესახებ სხვადასხვა დროს მრავალი მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფ. გ. შუბლაძეს. კერძოდ, იგი წერს: „ბიზნესი არის სამეურნეო (ეკონომიკური) საქმიანობა, რომლის მიზანია მოგების მიღება. მოგება კი მიიღება მომხმარებლისათვის საჭირო პროდუქციისა და მომსახურების შექმნისა და მიწოდების გზით“.<sup>26</sup> რაც შეეხება ბიზნესმენს, იგი „არის საქმიანი კაცი, ადამიანი, რომელიც ეწევა ბიზნესს. იგი ქონების, კაპიტალის, ანუ საკუთრების მფლობელია“.<sup>27</sup> მეწარმეობისა და მეწარმის ცალკე დეფინიციებს ეს მეცნიერი არ გვთავაზობს, რაც მისი პოზიციიდან გამომდინარეობს - იგი აყენებს საკითხს, რომ ქართულ იურიდიულ და ეკონომიკურ ლიტერატურაში „მეწარმეობის“ და „მეწარმის“ ნაცვლად დამკვიდრდეს ტერმინები - „ბიზნესი“ და „ბიზნესმენი“.<sup>28</sup> ერთადერთი, რასაც პროფ. გ. შუბლაძე მეწარმეობის შესახებ აღნიშნავს: „ბიზნესის განსაკუთრებული შემთხვევაა მეწარმეობა (სამეწარმეო საქმიანობა). იგი უშუალო კავშირშია მეწარმის პიროვნებასთან, რომელიც ახორციელებს ბიზნესს მოგების მიღების მიზნით საკუთარი სახსრებისა და პირადი რისკის საფუძველზე“.<sup>29</sup> ამ მსჯელობაში ჩვენთვის გაუგებარია - თუკი მეწარმე ბიზნესს ახორციელებს მოგების მიღების მიზნით, რატომ არ შეიძლება მას ვუწოდოთ ბიზნესმენი? პროფ. გ. შუბლაძეს ორიგინალური მოსაზრება გააჩნია ბიზნესისა და მეწარმეობის ურთიერთდამოკიდებულების მიმართ, რასაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევეხებით.

პროფ. გ. ერქომაიშვილი აღნიშნავს: „ბიზნესი არის საქმიანობა, რომელიც მიმართულია გარკვეული სამომხმარებლო თვისებების მქონე საქონლის წარმოებასა და რეალიზაციაზე მოგების მიღების მიზნით“.<sup>30</sup> შესაბამის წყაროებზე დაყრდნობით, იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ბიზნესის სხვადასხვა განმარტებები არსებობს. კერძოდ, ზოგი მას საქმიანობას უწოდებს, ზოგი - საქმონსობას, ზოგი კი - საქმეს.<sup>31</sup> პროფ. უ. სამადაშვილის აზრით, „ინგლისური სიტყვის „ბიზნესი“ სინონიმია „საქმე“, ანუ ადამიანთა სამეურნეო საქმიანობა მოგების ან რაიმე ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით“.<sup>32</sup>

მეწარმეობაზე, როგორც საბაზრო ეკონომიკის ძირითად შინაარსზე და მეწარმეზე, როგორც საბაზრო ეკონომიკის ცენტრალურ სუბიექტზე, აქცენტს აკეთებენ ქართველი მკვლევარები ი. არჩვაძე და ლ. ქურხული. ისინი აღნიშნავენ: „საბაზრო ეკონომიკის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი მეწარმეობაა“<sup>33</sup> და გვთავაზობენ მეწარმეობის შემდეგ დეფინიციას: „მეწარმეობა არის მოქალაქეთა (ინდივიდის ან ასოცირებულ ინდივიდთა ჯგუფის) საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მათი სახელით, პირადი რისკით, ქონებრივი პასუ-

<sup>26</sup> გ. შუბლაძე, ფ. წოწკოლაური. ბიზნესის არსისა და დეფინიციის შესახებ. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2009, 6, გვ. 134. იხ. აგრეთვე: გ. შუბლაძე. ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდები. თბ., 2009, გვ. 72 და სხვ.

<sup>27</sup> იქვე.

<sup>28</sup> გ. შუბლაძე, ფ. წოწკოლაური. დასახელებული ნაშრომი, გვ. 139.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 134-135.

<sup>30</sup> გ. ერქომაიშვილი. ბიზნესი: ფირმის ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები. თბ., 2007, გვ. 14.

<sup>31</sup> იქვე.

<sup>32</sup> უ. სამადაშვილი. ბიზნესის საფუძვლები. ბ., 2007, გვ. 19.

<sup>33</sup> ი. არჩვაძე, ლ. ქურხული. ეკონომიკური ფსიქოლოგია. თბ., 2011, გვ. 81.

ხისმგებლობით და მიმართულია მოგებისა და პირადი შემოსავლის მისაღებად... მეწარმე - სასაქონლო მეურნეობის, საბაზრო ეკონომიკის ძირითადი სუბიექტია, რომელიც დაკავებულია საქონელწარმოებით საზოგადოების წევრთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის გაცვლითი ოპერაციის (ვაჭრობის) მეშვეობით.<sup>34</sup>

ზემოთმოყვანილი მსჯელობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ბიზნესის (ბიზნესმენის) და მეწარმეობის (მეწარმის) არსის განსაზღვრასთან დაკავშირებით მეცნიერთა შორის ერთიანი შეხედულება არ არსებობს და განსაკუთრებით დიკუსიურია მათი ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. მეცნიერთა ერთი ჯგუფი (რ. ასათიანი, ა. სილაგაძე, ჭ. ადვიშვილი და სხვ.) შინაარსობრივი თვალსაზრისით ამ ორ ცნებას ერთმანეთთან აიგივებს, მეორე ჯგუფი (გ. შუბლაძე, გ. ერქომაიშვილი და სხვ.) მკვეთრად მიჯნავს მათ. საკითხის მიმართ ეკლექტიკურ მიდგომას გეთავაზობს უ. სამადაშვილი, რომელიც ერთდროულად კიდევ აიგივებს და, ამასთანავე, ანსხვავებს ამ ცნებებს. ჩვენ ვემსრობით მოსაზრებას ბიზნესისა და მეწარმეობის არაიდენტურობის შესახებ, თუმცა არ ვართ ისეთი კატეგორიული, როგორც პროფ. გ. შუბლაძე.<sup>35</sup> შევეცდებით საკუთარი არგუმენტების საფუძველზე დავასაბუთოთ ჩვენი პოზიცია. ეს მიდგომა ემყარება საკითხის კვლევაში ისტორიულ-გეოგრაფიული, ეტიმოლოგიური და თანამედროვე (გლობალური) ასპექტების გამოყოფას. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

**ისტორიულ-გეოგრაფიული ასპექტი.** მეწარმეობისა და მეწარმის ცნება მე-18 საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა. იგი პირველად გამოიყენა ირლანდიური წარმოშობის ფრანგმა ეკონომისტმა რ. კანტილიონმა. (იგი მეწარმეს განასხვავებდა როგორც მუშისაგან, ისე სახელმწიფო მოხელისაგან და განიხილავდა ადამიანად, რომელიც საკუთარი რისკით წარმართავს საქმიანობას არამდგრადი შემოსავლის მისაღებად.<sup>36</sup> თავისი ეკონომიკური შეხედულებით, კანტილიონს შუალედური ადგილი უკავია მერკანტილისტებსა და ფიზიოკრატებს შორის, რაც გამოხატულებას პოულობს მეწარმეობისა და მეწარმის მიმართ მის დამოკიდებულებაში. კერძოდ, მეწარმის განსაზღვრაში კანტილიონი პრიორიტეტს ანიჭებს პროდუქტის წარმოებას და მის უფრო მაღალ ფასად გაყიდვას. ამასთანავე, იგი მეწარმეობასა და მეწარმეს უპირატესად ვაჭრობის სფეროს უკავშირებს.

ცნობილმა ფრანგმა ეკონომისტმა ქ. ბ. სემ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო მეწარმისა და მეწარმეობის საკითხების კვლევას. წარმოების პროცესში მან გამოჰყო ორი სტადია - სამეცნიერო და სამეწარმეო. მეორე სტადიის მთავარ მოქმედ პირად განიხილა მეწარმე, რომელიც „საკუთარი ხარჯით, რისკით ცდილობს სარგებლის მისაღებად რაიმე პროდუქტის წარმოებას“.<sup>37</sup> სემ

<sup>34</sup> ი. არჩვაძე, ლ. ქურხული. დასახელებული ნაშრომი, გვ. 83.

<sup>35</sup> შუბლაძე გ. როგორ გავმიჯნოთ ბიზნესი და მეწარმეობა. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2006, 16.

(საინტერესოა აღინიშნოს, რომ საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ფუნდამენტური პრინციპი „laissez faire“ წარმოიშვა არა ინგლისში - იმ დროს ეკონომიკურად ყველაზე განვითარებულ ქვეყანაში, არამედ საფრანგეთში და იგი ეკუთვნის ცნობილ ფრანგ ეკონომისტს, ფიზიოკრატ ფ. კენესს. მოგვიანებით ეს პრინციპი „ეკონომიკური ადამიანის“ ცნებასთან ერთად ართოდ იქნა გამოყენებული კლასიკური ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებლის ა. სმიტის მიერ სრულყოფილი კონკურენციის კაპიტალიზმის დასახსიათებლად.

<sup>36</sup> А. Бейтон, А. Казорла, К. Дупло, А. М. Дре. 25 ключевых книг по экономике. Челябинск, Урал, LTD, 1990, с. 18.

<sup>37</sup> Сэй Ж. Б. Трактат по политической экономии. М., «Дело», с. 35.

მეწარმეს განსაზღვრავს როგორც ეკონომიკურ აგენტს, რომელიც ახდენს წარმოების ფაქტორთა კომბინირებას, „ეკონომიკური რესურსები დაბალი მწარმოებლურობისა და შემოსავლიანობის სფეროებიდან მაღალი მწარმოებლურობისა და შემოსავლიანობის სფეროებში გადაჰყავს“.<sup>38</sup>

მეწარმეობისა და მეწარმის შესახებ საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ეკონომიკური თეორიის ავსტრიული სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებელს ფ. ვიზერს, რომელიც მიიხედავდა, რომ მეწარმე ერთდროულად წარმოების მესაკუთრეცაა და დამქირავებელიც, კრედიტორიც და დებიტორიც, არენდის გამცემიც და მიმღებიც (არენდატორიც). ამასთანავე, იგი წარმოების მართვაშიც იღებს მონაწილეობას. ვიზერი წერს: „მეწარმის ეკონომიკური ღირებულება იწყება საწარმოს დაარსებიდან. იგი არა მარტო კაპიტალს დებს წარმოებაში, არამედ იღებს ავტორიცა, აზუსტებს და ახორციელებს გეგმას, იწყებს თანამშრომლებს. როდესაც წარმოება უკვე ორგანიზებულია, მეწარმე მმართველის პოზიციას იკავებს როგორც თეორიულ, ისე კომერციულ საკითხებში“.<sup>39</sup>

ეკონომიკური თეორიის ლოხანის სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის ვ. პარეტოს აზრით, მეწარმისათვის დამახასიათებელია მტკიცე ნება, მაღალი ინტელექტი, მორალური შეზღუდვებისაგან თავისუფლება და „კომბინაციური ინსტიქტის დომინირება“,<sup>40</sup> რასაც თანამედროვე ტერმინოლოგიით „ოპორტუნისტის ფსიქოლოგიას“ უწოდებენ.

მეწარმეობისა და მეწარმის პრობლემის კვლევაში ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის ავსტრიელ ეკონომისტს ი. შუმპეტერს, რომლის პარადიგმა გულისხმობს ორი ტიპის მეწარმის-„ნოვატორისა“ და „კონსერვატორის“ დიქტომიას. ევოლუციური პროცესი მის მიერ განიხილება „ნოვატორთა“ არენაზე გამოსვლის, მათი მხრიდან „კონსერვატორთა“ შევიწროების, ბაზრიდან თანმიმდევრული გამოდევნის და მათ მიერ გამოთავისუფლებული ნიშის დაკავების სახით. შუმპეტერი მეწარმის დახასიათებისას წინა პლანზე წამოსწევს ინოვაციების როლს და გამოჰყოფს მათ ორ ჯგუფს. პირველი არის ის სიახლეები, რომლებიც ზემოქმედებს წარმოების პროცესზე, მეორე კი - პროდუქციაზე. ეს სიახლეები გაერთიანებულია შემდეგ ხუთ ჯგუფში:

1. ახალი მოხმარების საგნების შემოღება;
2. წარმოებისა და ტრანსპორტირების ახალი მეთოდები;
3. ახალი კომერციული შესაძლებლობები, ანუ ახალი ბაზრების ათვისება;
4. ნედლეულის ახალი სახეობების ექსპლოატაცია;
5. ახალი სამრეწველო ორგანიზაცია (მაგ., რომელიმე დარგის რეორგანიზაცია).<sup>41</sup>

სხვა ნაშრომში ი. შუმპეტერი წარმოების სამ კლასიკურ ფაქტორს (შრომა, მიწა, კაპიტალი) მეოთხე ფაქტორს ამატებს მეწარმეობის სახით.<sup>42</sup>

ამრიგად, მეწარმეობის ცნება აღმოცენდა საფრანგეთში და შემდეგ გავრცელდა კონტინენტური ევროპის სხვა ქვეყნებში - გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში და ა.შ. ამჟამად ამ ქვეყნებში ეს ცნება უპირატესად გამოიყენება, თუმცა მზარდ კონკურენციას აწყდება ბიზნესის ცნების მხრიდან, რომელიც აშშ-დან და დიდი ბრიტანეთიდან შემოვიდა ევროპაში. სიტყვა „ბიზნესი“ განჩნდა მეწარმეობიდან ოდნავ მოგვიანებით - მე-18-ე საუკუნის მეორე ნახევარ-

<sup>38</sup> იქვე გვ. 37.

<sup>39</sup> Автономов В. С. Австрийская школа и её представители. М., «Экономика», 1992, с. 93.

<sup>40</sup> Парето В. Компендиум по общей социологии. М., Изд. дом ГУ ВШЭ, 2007, с. 26.

<sup>41</sup> J. Schumpeter. Capitalism, Socialism and Democracy. London, Unwin Paperbacks, (1942) 1987, p. 32.

<sup>42</sup> J. Schumpeter. History of Economic Analysis. London, Allen and Unwin, 1954, p. 13.

ში დიდი ბრიტანეთში და შემდეგ სწრაფად გავრცელდა აშშ-ში. ბიზნესი, მეწარმეების მსგავსად, თავდაპირველად აღნიშნავდა ვაჭრობას და განიხილებოდა როგორც პირადი გამდიდრების წყარო. ამჟამად ინგლისურენოვან ლიტერატურაში თითქმის ყოველთვის გამოიყენება ბიზნესისა და ბიზნესმენის ცნებები, ხოლო მეწარმეობასა და მეწარმეს დაამოუკიდებლად თითქმის არ მოიხსენიებენ. ამ თვალსაზრისით, ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე მენეჯმენტის ერთ-ერთი ფუძემდებელი პ. დრუკერი, რომელიც მკვეთრად მიჯნავს მათ ერთმანეთისაგან. იგი აღნიშნავს: „მეწარმეა ის ადამიანი, რომელიც იწყებს თავის წვრილ ბიზნესს... ამასთანავე, ყოველი ახალი წვრილი ბიზნესი არ წარმოადგენს მეწარმეობას“.<sup>43</sup> წვრილი ბიზნესი მეწარმეობას რომ წარმოადგენდეს, დრუკერის აზრით, იგი უნდა ქმნიდეს «მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ან ახალ წყაროს, ან ახალ სამომხმარებლო მოთხოვნას».<sup>44</sup> ი. შუმპეტერის მსგავსად, პ. დრუკერიც მეწარმეობას პირდაპირ აკავშირებს ინოვაციებთან და წერს: „მეწარმეთა ამოცანაა სიახლეთა წყაროების მიზანმიმართული მოძიება და მათი მაქსიმალური გამოყენება წარმატების მისაღწევად“.<sup>45</sup> დრუკერი თვლის, რომ ბიზნესის სამყაროში მეწარმეები, ამ სიტყვის კლასიკური მნიშვნელობით, უმცირესობას შეადგენს. კაპიტალისტები, მენეჯერები და ინვესტორები არ არიან მეწარმეები, თუმცა ისინი საჭიროებენ კაპიტალსა და ინვესტიციებს. მეწარმეთა განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ (დრუკერის აზრით) ისინი ცდილობენ რაღაც ახლის, არსებულისაგან განსხვავებულის შექმნას და ფასეულობითი განწყობების გარდაქმნას. დრუკერი მიიჩნევს, რომ მეწარმეთა საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ბიზნესის სფეროთი. მეწარმეობად იგი მიიჩნევს ახალი უნივერსიტეტების, სამეცნიერო დაწესებულებების და ა.შ. დაარსებისაკენ მიმართულ აქტივობებს.

ამრიგად, პ. დრუკერი აგრძელებს ი. შუმპეტერის მიდგომას, რომელიც მეწარმის ფიგურას ინოვაციებთან აკავშირებს. ინოვაციურ მეწარმეთა პირველი თაობა წარმოიშვა ინგლისში, სამრეწველო გადატრიალების ეპოქაში, ანუ ე. წ. „პირველ ინოვაციურ ტალღაზე“. მეწარმეთა რაოდენობა განუხრელად მატულობდა მეორე და მესამე ინოვაციურ ტალღებზე და ეს იყო ეკონომიკური პროგრესის უძლიერესი იმპულსი.

ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში „მეწარმეობის“ ცნება „ბიზნესთან“ შედარებით გაცილებით ადრე წარმოიშვა. პირველი უკავშირდება გასული საუკუნის პირველ ნახევარს,<sup>46</sup> მეორე კი - 90-იანი წლების დასაწყისს. ბიზნესის ცნების დამკვიდრებაში მნიშვნელოვნად მიგვანძობს პროფ. გ. ბაბუნაშვილის დეაწლი, რომლის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა სტრუქტურაში საქართველოში პირველად ჩამოყალიბდა ბიზნესის ფაკულტეტი და დაიწყო იმ პერიოდისათვის ისეთი ახალი საგნე ბის სწავლება, როგორცაა საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები, ბიზნესის ორგანიზაცია, მენეჯმენტი და სხვ. ამ საგნებს ასწავლიდნენ ცნობილი მეცნიერები, პროფესორები დ. ძნელაძე, გ. შუბლაძე, გ. პაპავა, ე. პაპავა, ე. მექვაბიშვილი და სხვ. ამ უკანასკნელს ეკუთვნის ბიზნესში ქართულ ენაზე პირველი სადექცინო კურსი.<sup>47</sup>

<sup>43</sup> Друкер П. Ф. Рынок: как выйти в лидеры. Практика и принципы. М., 1992, с. 27.

<sup>44</sup> იქვე, გვ. 29.

<sup>45</sup> იქვე, გვ. 30.

<sup>46</sup> ფ. გოგინაიშვილი. ხელოსნობა საქართველოში. თბ., 1990; პ. გუგუშვილი. კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში და ამიერკავკასიაში. თბ., 1941.

<sup>47</sup> ე. მექვაბიშვილი. ბიზნესის საფუძვლები. თბ., 1990.

**ეტიმოლოგიური ასპექტი.** ბევრი ფიქრობს, რომ მეწარმის შესაბამისი უცხო სიტყვა „ენტრეპრენურ“, რომელიც წარმოდგება „ენტერპრისე“ – საწარმოსაგან, ინგლისური წარმოშობისაა. სინამდვილეში ორივე ფრანგული სიტყვაა, აქედან შევიდა ინგლისურში და - არა პირიქით.\* “ ბიზნესი“ (ბუსინესს), ანუ საქმიანობა (საქმე) და შესაბამისად, ბიზნესმენი (ბუსინესმენ) - საქმიანი ადამიანი წმინდა ინგლისური სიტყვებია, რომლებიც ფართოდ გამოიყენება მთელ მსოფლიოში. ამ ეტიმოლოგიური განსხვავების უკან მნიშვნელოვანი ეკონომიკური შინაარსი იმალება, რომელსაც, ვფიქრობთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის საინტერესო ცნებების სწორი განსაზღვრისათვის. მეწარმეობა დაკავშირებულია მთელი ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებასთან, ანუ კვლავწარმოებასთან (საქონლისა და მომსახურების წარმოება, გაცვლა, განაწილება, მოხმარება). შესაბამისად, გამოიყოფა სამეურნეო აქტიურობის რამდენიმე სფერო. კერძოდ:

- უშუალო წარმოებით პროცესების განხორციელება, ანუ საქონლის მომსახურების, ცოდნის, ინფორმაციის წარმოება;
- საშუაშაველო ოპერაციების განხორციელება, ანუ საქმიანობა, რომელიც ემსახურება წარმოებული საქონლის მოხმარებლამდე მიტანას;
- ფინანსური სფეროს ოპერაციები, რომლებიც ღირებულების ფორმათა ცვლილების პროცესს ემსახურება.

ეს სფეროები მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ავსებს ერთმანეთს, თუმცა თითოეული მათგანის როლი და ადგილი თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში განსხვავებულია. აღნიშნულის გათვალისწინებით, მეწარმეობის ქვეშ ჩვენ განვიხილავთ არა მთელ კვლავწარმოების პროცესთან დაკავშირებულ საქმიანობას, არამედ უშუალოდ საწარმოო საქმიანობას, რომელიც ინფორმაციულ და ტექნიკურ მხარეებსაც მოიცავს. შესაბამისად, მეწარმე არის პირი, რომელიც დაკავებულია უშუალოდ საწარმოო საქმიანობით, ანუ მატერიალურ-ნივთობრივი დოვლათის ან მომსახურების შექმნით. მაშასადამე, ჩვენი ინტერპრეტაციით, ბიზნესი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მეწარმეობა და პირველი მოიცავს მეორეს. შეიძლება ითქვას, რომ მეწარმეობა არის წარმოებრივი ხასიათის ბიზნესი. აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება დავეთანხმოთ პროფ. გ. შუბლაძის მოსაზრებას, რომ „ბიზნესის განსაკუთრებული შემთხვევაა მეწარმეობა (სამეწარმეო საქმიანობა)“.<sup>48</sup>

**თანამედროვე (გლობალური) ასპექტი.** ამჟამინდელი ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირება-განვითარებას გლობალიზაცია განსაზღვრავს, რომლის ქვაკუთხედაა ფინანსური სფეროს გლობალიზაცია.<sup>49</sup> ფინანსური გლობალიზაცია რთული და წინააღმდეგობრივი მოვლენაა, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს: ფინანსური სექტორი, რომელსაც ტრადიციულად მატერიალური წარმოების, ანუ ე.წ. „ფიზიკური ეკონომიკის“ მომსახურების ფუნქცია ეკისრებოდა, დღეს თავად დომინირებს მასზე. ეს მოვლენა ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია ეკონომიკის „ფინანსებიზაციის“, „ფინანსური დესპოტიზმის“,

\*შუა საუკუნეებში საფრანგეთში „ენტრეპრენიორი“ ნიშნავდა დიდი მუსიკალური წარმოდგენების, სხვადასხვა აღლუმების და სამშენებლო-საწარმოო პროექტების ორგანიზატორს. მე-17 საუკუნიდან ანტრეპრენიორს იმ პირებს უწოდებდნენ, რომლებიც განსაზღვრულ სამუშაოს შესრულებაზე კონტრაქტს აფორმებდნენ სახელმწიფოსთან და შუამავლის როლში გამოდიოდნენ შემკვეთსა და შემსრულებელს შორის.

<sup>48</sup> გ. შუბლაძე, ფ. წოწკოლაური. ბიზნესის არსისა და დეფინიციის შესახებ. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2009, 6, გვ. 134.

<sup>49</sup> ე. მექვაბიშვილი. ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები. თბ., 2009, გვ. 38.



„დერივატული კაპიტალიზმის“ და ა. შ. სახელწოდებებით. ფინანსური სექტორის დომინირების პირობებში არსებით მოდიფიცირებას განიცდის მეწარმის ტრადიციული შუამკვეთისეული კლასიფიკაცია - „ნოვატორი“-„კონსერვატორი“. სწორედ ფინანსურ სფეროში წარმოიშობა და განუხრელად ძლიერდება ბიზნესმენის ტიპი, რომელსაც „მტაცებლებს“ („ზვიგენებს“) უწოდებენ. ესენი არიან ბანკირები და საფონდო ბირჟების სხვადასხვა მოთამაშეები, რომლებისთვისაც დამახასიათებელია მოგებისადმი დაუოკებელი სწრაფვა. ისინი გამოსულნი არიან ყოველგვარი მორალურ-ეთიკური ჩარჩოებიდან, ხშირად კანონებსაც არღვევენ და უპირატესად სპეკულაციური ოპერაციებით აგროვებენ უზარმაზარ ქონებას. მათი ფსიქოლოგია მკვეთრად გამოხატული მომხვეჭელობითი ხასიათისაა.<sup>50</sup> აშკარაა, რომ ამ „ფინანსური ზვიგენების“ მეწარმეებად ჩათვლა შეცდომა იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ თავიანთ საქმიანობაში ისინი ფართოდ იყენებენ სხვადასხვა ფინანსურ ინოვაციებს.

მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში სრულ უფრო ხშირად გამოითქმის მოსაზრება, რომ ბოლო დროს გახშირებული ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი სწორედ ფინანსური სფეროს დომინირება და „ფინანსური ზვიგენების“ ჰიპერაქტიურობაა. ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია მათი მოქმედების სფეროს შეზღუდვა და ჭეშმარიტი მეწარმის სამოქმედო არეალის გაფართოება, რაც ნორმალურ მდგომარეობაში მოიყვანს ამჟამად ამოყირავებული პირამიდის კონფიგურაციის მქონე მსოფლიო და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ეკონომიკურ სისტემებს.

ამრიგად, ჩვენი აზრით, კვლევის კონკრეტული ამოცანებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ბიზნესისა და მეწარმეობის ცნებების როგორც ერთმანეთისგან გამიჯვნა, ისე მათი გარკვეული აზრით გაიგივება. საქართველოს ეკონომიკურ რეალობასთან მიმართებაში მართებული იქნებოდა გვესაუბრა ბიზნესის განვითარებაზე, ბიზნესისა და სახელმწიფოს ურთიერთკავშირზე, ვინაიდან დღეს საქართველოში ბიზნესის სხვა შემადგენელი ნაწილები (მაგ., საბანკო ბიზნესი, უძრავი ქონების ბიზნესი, სავაჭრო ოპერაციები) გაცილებით უფრო განვითარებულია, ვიდრე უშუალოდ წარმოებრივი ბიზნესი. კონკრეტულ შემთხვევაში მეწარმეობისა და ბიზნესის ცნებების გაიგივებიდან გამომდინარე, ჩვენ ვაყალიბებთ შემდეგ დეფინიციას: ბიზნესი (მეწარმეობა) არის ადამიანის სამეურნეო საქმიანობის კონკრეტული ფორმა, რომელსაც ახასიათებს ინიციატივა, პასუხისმგებლობა, ნოვატორობა, რისკი და მიმართულია მოგების მიღებისაკენ.

*Miminoshvili Temur*  
*PhD student*

**SEVERAL ISSUES IN REGARD OF THE ESSENCE  
OF BUSINESS AND ENTREPRENEURSHIP**  
**Summary**

Different opposite visions in regard of essence of business and entrepreneurship and their interrelation is discussed in the article. The author shares the position, that these two are dissimilar concepts and offers own arguments, which are based on historic, geographic, etymologic and modern (global) approaches.

<sup>50</sup> Ольсевич Ю. Я. Психологические основы экономического поведения. М., 2009, с. 57.

**გიორგი აფციაური**  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ბიზნესინჟინერინგის ფაკულტეტის ბაკალავრი

**ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები და  
საქართველო**

თანამედროვე ეტაპზე ევროკავშირის გლობალურ ბიზნესსა და ეკონომიკაში ერთდერით ლიდერი პოზიციები უკავია. ევროკავშირი წარმოადგენს მსოფლიოში საქონლისა და მომსახურების ერთდერო მნიშვნელოვან ექსპორტიორსა და იმპორტიორს. ექსპორტის მოცულობით ევროკავშირს უკავია I ადგილი მსოფლიოში (მხოლოდ ცალკე აღებული გერმანია მსოფლიოს I ექსპორტიორია), ხოლო საქონლის იმპორტის მოცულობით – II ადგილი აშშ-ის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ საქონლის მსოფლიო ექსპორტის მოცულობა 2003 წელს 4522 მლრდ ევროდან 2007 წელს 7129 მლრდ ევრომდე, ხოლო საქონლის მსოფლიო იმპორტის მოცულობა 4797 მლრდ ევროდან 7507 მლრდ ევრომდე გაიზარდა. 2007 წელს ევროკავშირზე მოდიოდა საქონლის მსოფლიო ექსპორტის 17,4%, აშშ-ზე დ 11,9%, ჩინეთზე – (ჰონკონგის გარეშე) 12,5%, იაპონიაზე – 7,3% და კანადაზე – 4,3%. ასევე ევროკავშირზე მოდიოდა საქონლის მსოფლიო იმპორტის 19,1%, აშშ-ზე დ 19,5%, ჩინეთზე (ჰონკონგის გარეშე) დ 9,2%, იაპონიაზე დ 6% და კანადაზე დ 3,7%. თუ მხედველობაში მივიღებთ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობას, ევროკავშირის წილი გაიზარდა საქონლის მსოფლიო ექსპორტის და იმპორტის 40დ45%დმდე. მოსახლეობის რაოდენობით კი ევროკავშირს მსოფლიოში მესამე ადგილი უკავია ჩინეთისა და ინდოეთის შემდეგ.

	ექსპორტი			იმპორტი			საღდლო		
	1997	2002	2007	1997	2002	2007	1997	2002	2007
ევროკავშირი	:	892	1240	:	937	1426	:	- 45	- 186
ნორვეგია	42	64	99	31	37	58	11	27	41
შვეიცარია	67	93	126	67	89	118	0	4	8
კანადა	191	267	306	174	235	277	17	32	29
ჩინეთი (ჰონკონგის გარეშე)	161	344	889	126	312	698	36	32	191
იაპონია	317	441	521	299	357	454	72	84	67
აშშ	606	733	848	792	1271	1472	- 186	- 538	- 624

**მსოფლიო საქონლით ვაჭრობა (მლრდ ევრო)**

მნიშვნელოვანია ევროკავშირის ადგილი საერთაშორისო ვაჭრობაში. მას აქვს ასევე მეტად მზარდი ბაზარი. ევროკავშირის საქონლის ექსპორტის მოცულობამ 2007 წელს 1237 მლრდ ევრო, ხოლო იმპორტმა 1426 მლრდ ევრო შეადგინა. 2003-2008 წლებში ევროკავშირის იმპორტის საშუალო წლიურმა ზრდამ 10,7%, ხოლო ექსპორტის საშუალო წლიურმა ზრდამ 8,6% შეადგინა.

**ევროკავშირის საგარეო ვაჭრობა 2003-2008 წლებში (მლრდ ევრო)**

წელი	იმპორტი	წლიური ზრდა,%	ექსპორტი	წლიური ზრდა,%	ბალანსი	სავაჭრო ბრუნვა
2003	935 270		869 236		- 66 034	1 804 506
2004	1 027 522	9,9	952 954	9,6	- 74 568	1 980 476
2005	1 179 569	14,8	1 052 720	10,5	- 126 849	2 232 289
2006	1 351 745	14,6	1 159 276	10,1	- 192 469	2 511 021
2007	1 426 008	5,5	1 236 919	7,0	- 189 089	2 662 927
2008	1 552 115	8,8	1 309 205	5,8	- 242 910	2 861 320
საშუალო წლიური ზრდა		10,7		8,6		

დასავლეთ ევროპისათვის მის საგარეო-ეკონომიკურ კავშირებში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება თანასწორუფლებიან პარტნიორებთან – აშშ-სა და იაპონიასთან ურთიერთობას. ევროკავშირის საგარეო სავაჭროდ ეკონომიკურ და საფინანსო ურთიერთობებში ძირითადი პოზიციები უკავია განვითარებულ ქვეყნებს, ამავე დროს ევროკავშირი მრავალი განვითარებადი ქვეყნისთვისაც ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. ბოლო პერიოდში ევროპული ფირმები დიდ ინტერესს იჩენენ პოსტსოციალისტური ქვეყნების ბაზრების მიმართ.

2009 წლის მაისში ჩეხეთში გაიმართა ევროკავშირის ახალი ინიციატივის – „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ სამიტი (27+6 ქვეყანა), სადაც მიღებული იქნა ერთობლივი დეკლარაცია. ევროკომისიამ კომუნიკაცია „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ შესახებ გამოაქვეყნა 2008 წლის 3 დეკემბერს, ხოლო დამტკიცდა 2009 წლის 19 მარტს ევროპული საბჭოს სხდომაზე. „აღმოსავლეთის პარტნიორობა“ ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის ახალი ფორმაა და წარმოადგენს ევროკავშირის წვერი ქვეყნების, კერძოდ, შვედეთისა და პოლონეთის ინიციატივას. აღმოსავლეთის მეზობელი ქვეყნები არიან: **უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი და ბელარუსი.**

„აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ინიციატივა არ განიხილავს ევროკავშირში მომავალი წევრობის შესაძლებლობას, თუმცა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ინტეგრაციულ პროცესებს როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ ფორმატში. იგი, მაგალითად, საქართველოს მისცემს ევროკავშირთან შემდგომი დაახლოებისა და მხარეებს შორის ურთიერთობების გაღრმავების დამატებით შესაძლებლობებს. პარტნიორობა ითვალისწინებს ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებების პერსპექტივას, ასევე ევროკავშირთან ფართო და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობისა და გამარტივებული სავიზო რეჟიმის შესახებ შეთანხმებებს. აღსანიშნავია, რომ „აღმოსავლეთის პარტნიორობა“ არ წარმოადგენს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის ალტერნატივას, არამედ ის ხელს უწყობს პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირში უფრო ღრმა ინტეგრაციას, საერთო ფასეულობების გავრცელებას, რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებას და ეკონომიკურ განვითარებას რეგიონული და ორმხრივი თანამშრომლობის გზით.

ევროკომისიის შემუშავებული დოკუმენტის თანახმად, ინიციატივის მთავარი მიზანია ევროპული სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობელ პარტნიორ ქვეყნებთან მიმართებაში, თუმცა

მოცემული ინიციატივა უფრო შორს მიდის და პარტნიორ ქვეყნებს ევროკავშირთან უფრო მეტად დაახლოების მიზნით კონკრეტულ პერსპექტივებს სთავაზობს.

„აღმოსავლეთის პარტნიორობა“ პარტნიორ ქვეყნებს სთავაზობს ამ ქვეყნებში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შესაძლებლობათა მაქსიმუმს, რეფორმების მიმდინარეობის პროცესის გათვალისწინებით.

ევროკომისიის დოკუმენტში შემოთავაზებულია თანამშრომლობის განვითარება ორმხრივი და რეგიონული თანამშრომლობის ფორმატებში. მაშინ, როდესაც ორმხრივი თანამშრომლობის საბოლოო მიზანია ფართო პოლიტიკური ჩარჩოს შექმნა, რომელიც კიდევ უფრო გააღრმავებს პარტნიორ ქვეყნის თანამშრომლობას ევროკავშირთან; რეგიონულმა თანამშრომლობამ ხელი უნდა შეუწყოს ევროკავშირთან რეგიონის ურთიერთობების განვითარებას და რეგიონში ინტეგრაციულ პროცესებს საერთო ინტერესთა სფეროებში (*უსაფრთხოება, მიგრაცია, ვაჭრობა და ერთობლივი პროექტების განხორციელება ტრანსპორტის, ენერჯეტიკის, გარემოს დაცვისა და სხვა დარგებში*) თანამშრომლობის გაღრმავების გზით.

ორმხრივი ურთიერთობები ითვალისწინებს თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას ევროკავშირსა და თითოეულ პარტნიორ ქვეყანას შორის, რაც მოიცავს:

- ახალი, უფრო ფართო საკონტრაქტო ურთიერთობების ჩამოყალიბებას გაღრმავებული შეთანხმებების, ანუ ასოცირების შესახებ შეთანხმებების გაფორმების გზით, რომლებიც უპასუხებს თითოეული პარტნიორი ქვეყნის ევროკავშირთან შემდგომი დაახლოებისაკენ სწრაფვას. ეს შეთანხმებები გაფორმდება იმ ქვეყნებთან, რომლებიც მზად იქნებიან შესაბამისი დონის ვალდებულებების ასაღებად ევროკავშირსა და მეზობელ აღმოსავლეთ ქვეყნებს შორის თავისუფალი სავაჭრო ზონების შესაქმნელად, რაც დაეფუძნება თითოეულ ქვეყანასთან გაფორმებულ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებებს;

- უსაფრთხო გარემოში მოქალაქეთა მობილურობის ხელშეწყობას. ამ მიზნით, ევროკავშირი პარტნიორ ქვეყნებს სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმების შესაძლებლობებს სთავაზობს. თანმიმდევრული ნაბიჯები იქნება გადადგმული უვიზო რეჟიმის დამყარებისაკენ;

- ენერგოუსაფრთხოების გაძლიერებას, რაც ითვალისწინებს ენერგორესურსების მიწოდებისა და ტრანზიტის უსაფრთხოების ხელშეწყობას, ენერგორესურსების ეფექტიანობის ამაღლებასა და ენერჯის განახლებადი წყაროების უფრო ფართოდ გამოყენებას.

ევროკავშირი უზრუნველყოფს აღმოსავლეთის პარტნიორებს მნიშვნელოვანი დაფინანსებით, 2007-2010 წლებში გათვალისწინებული იქნა:

- საქართველო – 120,4 მლნ ევრო;
- სომხეთი – 98,4 მლნ ევრო;
- აზერბაიჯანი – 92 მლნ ევრო;
- ბელარუსი – 21 მლნ ევრო;
- მოლდოვა – 209,7 მლნ ევრო;
- უკრაინა – 494 მლნ ევრო.

2010-2013 წლებისთვის ევროკავშირს გათვალისწინებული აქვს 600 მილიონი ევრო ექვსივე ქვეყნისათვის. აღსანიშნავია, რომ ასევე ხდება დამატებითი დაფინანსება რეგიონული და რეგიონთაშორისო პროგრამების მეშვეობით. ამრიგად, აღმოსავლეთის პარტნიორობის ძირითადი მიზნებია: 1. დაუახლოვოს პარტნიორი ქვეყნები ევროკავშირს; 2. ხელი შეუწყოს სტაბილურობას, ეკონომიკურ განვითარებას პარტნიორ ქვეყნებში და 6 პარტნიორი ქვეყნის ევროკავშირის ეკონომიკაში ეტაპობრივ ინტეგრაციას.

საქართველოსა და ევროკავშირის ეკონომიკურ ურთიერთობებში საკვანძო ადგილი უკავია სავაჭრო ურთიერთობებს. საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ზოგიერთ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობებს ღრმა ისტორიული საფუძვლები აქვს. სტრატეგიული თვალსაზრისით, საქართველოსთვის უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სავაჭროდ ეკონომიკური, საფინანსო და სხვა სახის ურთიერთობების გაღრმავებას ევროკავშირთან, მით უფრო, რომ საქართველოს საგარეო ინტერესებში შედის მოწინავე ევროპული ფასეულობებისა თუ გამოცდილების გაზიარება და ევროკავშირთან დაახლოება.

საქართველოს ექსპორტს ევროკავშირში მზარდი ტენდენცია აქვს და გაცილებით მაღალი, ვიდრე საქართველოს მთლიან ექსპორტს. 2007 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის 27 ქვეყანასთან 1807,4 მლნ აშშ დოლარია, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე, იმავე ქვეყნების მიხედვით, 73,5%-ით მეტია. აქედან ექსპორტი 268,5 მლნ აშშ დოლარია (42,1%-ით მეტი), ხოლო იმპორტი – 1538,9 მლნ აშშ დოლარი (80,4%-ით მეტი). ამ ქვეყნების წილად მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 28%, მათ შორის ექსპორტის 21,7%, იმპორტის 29,5% და სავაჭრო დეფიციტის 34,8%. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოდ ევროკავშირის სავაჭრო თანამშრომლობის ერთდერთი

2008 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა, მათ შორის ექსპორტი 335,2, ხოლო იმპორტი – 16665,3 მლნ აშშ დოლარია, ანუ იმპორტის მოცულობა ექსპორტისას აღემატება 5-ჯერ. ევროკავშირის ქვეყნების წილად მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 26,5 %, მათ შორის ექსპორტის 22,4% და იმპორტის 27,5%. 1995-2002 წლებში საქართველოში ევროკავშირის იმპორტის საშუალო წლიურმა ზრდამ 8,9%, ხოლო ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის საშუალო წლიურმა ზრდამ 15,9% შეადგინა. 2003-2008 წლებში შესაბამისმა მაჩვენებელმა 34 და 34,8% შეადგინა, მაშინ, როდესაც აღნიშნულ პერიოდში საქართველოს ექსპორტი საშუალოდ წლიურად 27,1%-ით, ხოლო იმპორტი 40,5%-ით გაიზარდა.

საქართველოს ევროკავშირის ექსპორტიორ ქვეყნებს შორის 77-ე ადგილი უკავია, იმპორტიორ ქვეყნებს შორის 90-ე და სავაჭრო ბრუნვის მიხედვით 89-ე. ევროკავშირის ექსპორტში საქართველოს ხვედრითი წილი მხოლოდ 0,1%-ია, ხოლო იმპორტში – კიდევ უფრო დაბალი. ევროკავშირი მთლიანობაში საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. ორმხრივი ვაჭრობა საკმაოდ დინამიკურად ვითარდება. ექსპორტის სტრუქტურაში გამოირჩევა ისეთი სასაქონლო ჯგუფები, როგორცაა ახალი და გამხმარი თხილი, ფეროშენადნობები, მინერალური წყლები, სასუქები, სპილენძის მადნები და კონცენტრატები, დაუმუშავებელი და ნახევრად დაუმუშავებელი ოქრო. რაც შეეხება იმპორტს, აქ ლიდერობენ მსუბუქი ავტომობილები, სამკურნალო საშუალებები, შაქარი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, კომპიუტერები და მათი ბლოკები. პოზიტიური დინამიკის ფონზე სავაჭრო ურთიერთობებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის, განსაკუთრებით საქართველოდან ექსპორტის თვალსაზრისით, განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია, რომლის ათვისება ძირითადად დამოკიდებულია მიღწეული შეთანხმებების ფარგლებში არსებული შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებაზე. საქართველოდ ევროკავშირის, ისევე როგორც საქართველოს, საგარეო ვაჭრობის ძირითადი სასაქონლო სტრუქტურის ანალიზი ცხადყოფს, რომ ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა დამოუკიდებელია იმპორტის სასაქონლო სტრუქტურისაგან.

ევროკავშირიდან საქართველოში იმპორტის მოცულობის მიხედვით სამი ჯგუფი დაახლოებით ერთნაირად გამოიყურება, კერძოდ:

I. გერმანია და იტალია;

II. ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, ჩეხეთი, ესპანეთი, ფინეთი, გაერთიანებული სამეფო, ლიტვა, ნიდერლანდები, პოლონეთი, რუმინეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, შვედეთი და უნგრეთი;

III. დანია, ესტონეთი, ირლანდია, კვიპროსი, ლატვია, ლუქსემბურგი, მალტა, პორტუგალია, სლოვაკეთი და სლოვენია.

ევროკავშირის პრეფერენციების განზოგადებული სისტემა GSP და GSP+. შემუშავებულ იქნა 1968-1970 წლებში გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მიერ, რომლის მიხედვითაც განვითარებულ ქვეყნებს სავაჭრო შეღავათები უნდა მიენიჭებინათ განვითარებადი ქვეყნებისათვის. GSP-ს ძირითადი მახანია ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მიერ განვითარებადი ქვეყნების მიმართ დახმარება ექსპორტის ხელშეწყობისა და სტიმულირებისათვის. განვითარებული ქვეყნები სავაჭრო ვაჭრობაში პრეფერენციების გენერალიზებული სისტემის ბენეფიციარებს ცალმხრივ საფუძველზე ანიჭებენ გარკვეულ შეღავათებს. კერძოდ, ისინი აწესებენ ბენეფიციალურ ქვეყნებიდან ექსპორტირებულ საქონელზე საბაზო განაკვეთებთან შედარებით საიმპორტო ტარიფის შემცირებულ განაკვეთებს, რაც აადვილებს განვითარებადი ქვეყნების პროდუქციის შეღწევას განვითარებულ ქვეყნებში. GSP ევროკავშირმა 1971 წელს პირველმა შემოიღო და დღეს უკვე 180-ზე მეტი ქვეყნისთვის აქვს მინიჭებული შ დით მოსარგებლე ქვეყნის სტატუსი, რაც ქვეყნებს შესაძლებლობას აძლევს საქონელი ევროკავშირის ბაზარზე ნულოვანი ან შემცირებული ტარიფით შეიტანონ. 1993 წლიდან GSP-ის შეღავათების დიდი ნაწილი გაეროცელდა საქართველოზეც.

2005 წლის 27 ივნისს ევროკავშირის საბჭომ მიიღო განაწესი, რომლის მიხედვითაც 2005 წლის 1 ივლისიდან ევროკავშირის პრეფერენციათა განახლებული გენერალიზებული სისტემა „GSP+“ ამოქმედდა და სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოზეც გაეროცელდა. ეს მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაა, ვინაიდან, თუ ძველი სქემით საქართველოს ეძლეოდა შესაძლებლობა ევროკავშირის ბაზარზე უბაჟოდ შეეტანა მხოლოდ 3300 დასახელების პროდუქცია და 6900 საქონელზე მოქმედებდა მხოლოდ გარკვეული შეღავათები, „GSP+“-ის ბენეფიციალის სტატუსის მიღების შემდეგ საქართველოს მიეცა საშუალება ევროკავშირში უბაჟოდ შეიტანოს 7200 დასახელების პროდუქცია. აღსანიშნავია, რომ მანამდე ევროკავშირი 2100 დასახელების საქონელს ისედაც ანიჭებდა ნულოვან საბაჟო განაკვეთს და თუ მხედველობაში მივიღებთ ამ საქონლის ჩამონათვალს და GSP+ სქემით მოცემული 7200 დასახელების საქონელს, ევროკავშირის ბაზარზე საქართველოს შეუძლია ნულოვანი საბაჟო ტარიფით განახორციელოს 10300 დასახელების საქონლის ექსპორტი.

საქართველოდევროკავშირის თანამშრომლობის ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულებაა მხარეებს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შემოღების საკითხი, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის სავაჭრო ურთიერთობების მასშტებებს. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის პირობებში ევროკავშირთან ბაზრების ორმხრივ დონეზე გახსნა. ორმხრივი ეკონომიკური საზღვრების გახსნა ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო ბაზრის დივერსიფიკაციას და შეამცირებს ქვეყნის დამოკიდებულებას ცალკეულ ბაზარზე. საქართველოს ჩართვა ევროპის სავაჭროდევროკავშირ სივრცეში ხელს შეუწყობს, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის მთელი რიგი დარგების კონკურენტუნარიანობის განვითარებას მსოფლიო ბაზარზე. საქართველო-ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობა ხელს შეუწყობს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ქვეყანაში საშუალო ფენის გაძლიერებას. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ექსპორტის

დივერსიფიკაცია და ამიტომაც ერთდერთი მთავარი პრიორიტეტი ევროკავშირის ბაზარია.

მართალია, საქართველოს ხვედრითი წილი ევროკავშირის მთლიან ექსპორტში მოკრძალებულია, მაგრამ პერსპექტივაში ჩვენს ქვეყანას შეუძლია ეს მაჩვენებელი გაზარდოს, ამასთან, საქართველოს ტერიტორიის გამოყენებით, ევროკავშირს ექნება შესაძლებლობა, გაზარდოს სავაჭრო ურთიერთობები ყოფილი საბჭოთა კავშირის, სამხრეთ კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებთან. ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის გაზრდა დიდ ძალისხმევას საჭიროებს. ევროკავშირის ბაზარზე პერსპექტიული საექსპორტო პროდუქციაა: ღვინო, მინერალური წყლები, თხილი, თაფლი და სოფლის მეურნეობის სხვა. პროდუქცია. საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის მასშტაბების გაზრდა და საქართველოს აქტიური ჩართვა ევროპის ერთიან სავაჭროდეკონომიკურ სივრცეში, ხელს შეუწყობს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის, საბანკო სექტორის, მრეწველობის მთელი რიგი დარგების კონკურენტუნარიანობის განვითარებას, ევროპული ინვესტიციების მოზიდვას, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გველესიანი გ., მურღულია შ., ნარმანია დ. ევროკავშირი, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო. „ბიულეტენი“. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 2007. 102
2. გოგოლაშვილი კ., კაპანაძე ს. ევროკავშირის პოლიტიკა: მიმდინარე საკითხები. თბილისი, 2007. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი.
3. გოგოლაშვილი კ., კაპანაძე ს. ევროკავშირი და საქართველო: მიმდინარე საკითხები და მომავლის პერსპექტივები. თბილისი, 2009. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი.
4. მაღაშხია გ. საქართველოს ეკონომიკა: საუკუნოვანი ჰარმონიის შტრიხები. თბილისი, 2002.
5. ფუტყარაძე რ. საქართველო-ევროკავშირის სავაჭროდეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერსპექტივები. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი, 2010.
6. ყორღანაშვილი ლ. საქართველოსა და ევროკავშირის ეკონომიკური თანამშრომლობა: თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები. საერთაშორისო საუნივერსიტეტო-შორისო სამეცნიერო შრომების კრებული „საერთაშორისო ბიზნესი“ V ტომი, 1-4, 2007.
7. Collignon, Stefan (2010): Democratic requirements for a European Economic Government.
8. Commission of the European Communities (2009): Long-term sustainability of public finances for a recovering economy. Communication from the Commission to the European Parliament and the Council. SEC (2009) 1354. Brussels.

*Aptsiauri George*  
*Georgian Technical University*  
*Faculty of Social Sciences*  
*Department of Business Engineering*  
*Bachelor Program Alumni*

## **FOREIGN ECONOMIC RELATIONS OF THE EUROPEAN UNION AND GEORGIA**

### **Summary**

The author of the publication made an attempt to overview the updated status and major trends in development of foreign economic relations of the European Union with particular attention to trade aspects of this partnership.

The content of the topic includes such issues as the regimes of trade relations with foreign business partners, their groupings according to the level cooperation, dynamics of trade - economic cooperation based on statistical data and other information.

Business cooperation with the countries of transitional economies including the group of states united under the EU Eastern Partnership Program, including Ukraine, Moldova, Belarus, Azerbaijan. Georgia and Armenia can be considered as the core topic of the presented article.

Based on the case of EU-Georgia trade –economic relations the author has tried to promote the idea of the importance of this collaboration for further and real integration of Georgia into European and business communities, fostering its democratic economic reforms on domestic and regional markets.



*ბერია წიგნადე  
თსუ ეკონომიკისა და  
ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრი*

### **ინფლაციის ბაზომწვევი ფაქტორები და მისი დაძლევის ბზები**

ინფლაცია თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე რთული მოვლენაა და მისი ისტორია ფულის წარმოშობის დღიდან იწყება, თუმცა ტერმინი "ინფლაცია", რომელიც ქართულად "გაბერვას" ნიშნავს, პირველად 1861-1865 წლებში, ჩრდილოეთ ამერიკაში სამოქალაქო ომის დროს გამოიყენეს. მე-19 საუკუნის ბოლოს კი ამ ტერმინის გამოყენება ინგლისსა და საფრანგეთშიც დაიწყო. მე-20 საუკუნის 20-იან წლებში, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ეს ტერმინი ეკონომიკურ ლექსიკონში საბოლოოდ დამკვიდრდა. თავდაპირველსგან განსხვავებით, ინფლაციის თანამედროვე გაგება რთული და მრავალწახნაგოვანი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენაა, რომელიც საბაზრო ეკონომიკის სხვადასხვა სეგმენტს შორის წონასწორობის დარღვევითაა განპირობებული. ტრადიციულად, ინფლაცია განიხილება, როგორც მიმოქცევაში არსებული ფულის სიჭარბე საქონელბრუნვასთან შედარებით, რაც გამოწვეულია ფულის ერთეულის გაუფასურებითა და, შესაბამისად, საქონელზე ფასების ზრდით. ანუ ინფლაცია ფულის გაუფასურება და მისი მსყიდველობითუნარიანობის დაქვეითებაა, თუმცა ის შეიძლება, ქვეყნის არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობით, არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკით, წარმოებისა და რეალიზაციის სფეროში არსებული უარყოფითი ფაქტორებითაც იყოს განპირობებული. მოკლედ, ინფლაციის გამომწვევი უმთავრესი საშინაო და საგარეო მიზეზებია: სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, ინფლაციური მოლოდინი, დარგობრივი ინვესტიციები ბიუჯეტიდან, სამხედრო ხარჯები, მსოფლიო ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობა, იმპორტირებულ საქონელსა და მომსახურებაზე ე.წ. მსოფლიო ფასების დაწესება.

ეკონომისტები თანხმდებიან, რომ მაღალი ინფლაცია არის ეკონომიკური პრობლემების ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი და ხშირად ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების საფუძველსაც წარმოადგენს. ინფლაცია ეკონომიკაზე უარყოფითად სხვადასხვა მიზეზის გამო აისახება. პირველი, ეს არის დანაკარგები, რომლებიც უკავშირდება ინფლაციური გადასახადის ზემოქმედებას მოსახლეობის ხელთ არსებულ ფულის რაოდენობაზე. ინფლაციის ტემპის ზრდა იწვევს ნომინალური საპროცენტო განაკვეთის ზრდას, რაც თავის მხრივ იწვევს რეალურ გამოხატულებაში ფულადი მარაგის შემცირებას. ფულის ნაკლები საშუალო რაოდენობის პირობებში ადამიანს უწევს ბანკში ხშირად სიარული და ფულის მოხნა ანგარიშიდან. ამის გამო, ხელზე არსებული საშუალებების მოცულობის შემცირებით გამოწვეულმა მოუხერხებლობამ მიიღო ხატოვანი სახელწოდება „გაცვეთილი ფესხაცმლის ხარჯები“.

ამასთანავე, არაპროგნოზირებადი ინფლაციის ნებისმიერი დანახარჯები განაპირობებს ადამიანებს შორის სიმდიდრის სპეკულაციურად გადანაწილებას, რაც გამოიხატება, მაგალითად, გრძელვადიანი სესხების აღებისას. კერძოდ, როდესაც ინფლაციის ტემპი აღმოჩნდება მოსალოდნელზე მაღალი, კრედიტორი რჩება წაგებული, ხოლო მსესხებელი მოგებული, ვინაიდან იგი ვალს გაუფასურებული ღირებულებით აბრუნებს. ყველაზე მთავარი კი სოციალური დაძაბულობაა. მაღალი ინფლაციის დროს მცირდება ღირსის მსყიდველობითუნარიანობა, რაც

დაბალშემოსავლიან საზოგადოებაში იწვევს მასიურ უკმაყოფილებას, განსაკუთრებით - ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორც საქართველოა.<sup>51</sup>

დამოუკიდებელი საქართველოს მთავარი ეკონომიკური "მონაპოვარი" ინფლაციაა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო 1995-1996 წლებში, როდესაც საქართველოს ეკონომიკა განიცდიდა ჰიპერინფლაციას. ამ პერიოდში, 1990 წელთან შედარებით, ფასების დონე 254-ჯერ გაიზარდა. საინტერესოა ჰიპერინფლაციის ისტორია სხვა ქვეყნებშიც. ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი ჰიპერინფლაცია მსოფლიოში იყო მე-20 საუკუნის 20-იან წლებში, როცა ავსტრიასა და უნგრეთში სამომხმარებლო ფასები რამდენიმე ათასჯერ გაიზარდა. მაგალითად, 1923 წელს გერმანიაში ინფლაციის წლიურმა ტემპმა კატასტროფულ დონეს მიაღწია და გაუფასურებული ფულის მასას მოსახლეობა ღუმელში წვადა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი, იაპონიაში იენი ისე გაუფასურდა, რომ მისმა დათვლამ აზრი დაკარგა და, უბრალოდ, წონიდნენ.

ზომიერი ინფლაცია 3-4 %-ს არ უნდა აღემატებოდეს. როდესაც მაჩვენებელი 8%-ს აღარბებს, ვითარება უკვე საგანგაშოა. რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოში ინფლაციის მაჩვენებელმა უკვე 11%-ს გადააჭარბა. საქართველოში ინფლაციის მაღალ მაჩვენებლებს რამდენიმე მიზეზი განაპირობებს:

უნდა აღინიშნოს მთელ მსოფლიოში ფასების ზრდა. ფასები შესამჩნევად მატულობს ენერგომატარებლებზე, სურსათზე და ა.შ. და შესაბამისად, საქართველო, რომელიც თითქმის მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული, ფასების ზრდას აღნიშნულ პროდუქტებზე ვერ გაექცევა. გლობალური საფინანსო კრიზისის ფონზე, სურსათის გაძვირებასთან ერთად მატულობს ქვეყნის იმპორტზე დამოკიდებულება. სტატისტიკური მონაცემებით, სულ რაღაც 4 წლის წინათ 300-400 მილიონის დოლარის საკვების შემოტანა გეჭირდებოდა. 2010 წლისთვის კი იმპორტი ერთბაშად 3-ჯერ გაიზარდა. 2011 წლის დასაწყისში, შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით, ლარის მსყიდველობითი უნარი მნიშვნელოვნად შემცირდა. ამერიკულ დოლართან მიმართებაში ეროვნული ვალუტა (1.7736-დან 1.8110-მდე) დაახლოებით სამი პუნქტით გაუფასურდა.


2010 წლის 11,2 %-ანი ინფლაციით დასრულება ნიშნავს, რომ იმ საქონლის და მომსახურების შესაძენად, რაზეც 1 წლის წინ 100 ლარს ვხარჯავდით, ახლა 111,2 ლარი გეჭირდება. თუმცა აღსანიშნავია, რომ როგორც საქართველო, ისე ევროზონის ქვეყნები ერთნაირად დამოკიდებულნი არიან საერთაშორისო ბაზრის ფასებზე, მაგრამ გასული წლის აგვისტოს მონაცემებით ევროპის ქვეყნებში სურსათზე ფასებმა 2,6%-ით მოიმატა, საქართველოში კი — 5,8%-ით; 2011 წლის მონაცემებით აგვისტოში ევროზონაში წლიური ინფლაცია 2,6 % იყო. საქართველოში კი წლიური ინფლაციის მაჩვენებელმა 11,7% შეადგინა. აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, როცა ჩვენი ხელისუფლება საქართველოში მაღალ ინფლაციას მსოფლიოში პროდუქტის ფასს უკავშირებს, რატომ არ აისახება იგი ასე კატასტროფულად ევროზონის სამომხმარებლო ბაზარზე?! რატომ არის რომ საქართველოში ევროპის ქვეყნებთან შედარებით წლიური ინფლაცია საშუალოდ ოთხჯერ მაღალია?!

შედარებისათვის ვაჩვენოთ ინფლაციის დონის მაჩვენებლები საქართველოსა და სხვა ქვეყნებისათვის:


წლიური ინფლაციის დონე საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში, სტატისტიკის სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, ასე გამოიყურება:<sup>52</sup>

<sup>51</sup> ნ. ხადური, ნ. კაკულია, მ. ჩიქობავა – "მაკროეკონომიკა" 2011.

<sup>52</sup> [geostat.ge](http://geostat.ge)



როგორც ვხედავთ, წინა წელთან შედარებით ინფლაციის დონემ 273%-ით მოიმატა და ორციფრა ნიშნულს მიაღწია, მაშინ, როცა მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში ინფლაციის დონის მაჩვენებლებს შემდეგი სახე აქვს:<sup>53</sup>



გარდა ამისა, 10 %-ზე ნაკლები იყო ინფლაცია საქართველოს მეზობელ ქვეყნებშიც: აზერბაიჯანში – 5,7%, თურქეთში – 8,6%, რუსეთში – 8,8% და სომხეთში – 9,2%.

ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ, ევროპისაგან განსხვავებით, საქართველოს სამომხმარებლო კალათაში ყველაზე დიდი წილი სურსათს უკავია, იგი სამჯერ მეტია ევროპის იგივე მაჩვენებელთან შედარებით. შესაბამისად, სურსათის ფასზე ნებისმიერი ცვლილება ინფლაციაზე სამჯერ უფრო დიდ გავლენას ახდენს. გარდა ამისა, საქართველოში ანტიმონოპოლიური სამსახურის იგნორირების გამო ბაზარზე მონოპოლიური და ოლიგოპოლიური (ოლიგოპოლია — სიტუაცია, როდესაც რამდენიმე მსხვილი კონკურირებადი ფირმა არაოფიციალური მოლაპარაკების საფუძველზე ახდენენ პროდუქციის წარმოებისა და გაყიდვის მონოპოლიზაციას) კომპანიები დომინირებენ და შესაბამისად, ფასები საბაზრო პრინციპებით არ ყალიბდება.

მიუხედავად იმისა, რომ ფასების ზრდას სპეციალისტები, ძირითადად, საერთაშორისო ბაზარზე სამომხმარებლო პრიდუქტებზე ფასების მატებით

<sup>53</sup> <http://www.tradingeconomics.com/inflation-rates-list-by-country>

ხსნიან, სახელდება სხვა შიდა განმაპირობებელი ფაქტორებიც. ფირმები, რომელთაც პროდუქცია უცხოეთიდან შემოაქვთ, ქართულ ბაზარზე თავს ლაღად გრძნობენ. იციან, რომ ღირსეული კონკურენტები არ ჰყავთ და შესაბამისად მთელ დანახარჯებს მომხმარებელზე გადაიტანენ. ამ შემთხვევაში მთავრობამ უნდა გაძლიეროს კონკურენციის პოლიტიკა და მსხვილ იმპორტიორებს მსოფლიო ბაზრის ფასებით მანიპულირების საშუალება არ მისცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ინფლაციის კიდევ უფრო გადრმავებას შეუწყობს ხელს.

ინფლაციის შემცირების ქმედით მექანიზმად ეკონომისტები უპირველესად, ბაზარზე ფულის მასის შემცირებას მიიხევენ. გასული წლის ზაფხულიდან მოყოლებული, ეროვნული ბანკი ამკაცრებდა მონეტარულ პოლიტიკას. ხედვის თანახმად, რომელიც ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ეკონომიკის ექსპერტებს წარუდგინა, ის, მის ხელთ არსებული ინსტრუმენტებით მიმოქცევაში არსებული ფულის მასის შემცირებას მაქსიმალურად ცდილობს. ამ მიმართულებით გადადგმულ ერთ-ერთ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ უცხოური ვალუტის სარეზერვო ნორმა 5 დან 15% -მდე გაზარდა. ეს სერიოზული ინსტრუმენტია იმისთვის, რომ ქვეყნის შიგნით ფულის მასა შემცირდეს, მაგრამ აქ თავს იჩენს სხვა პრობლემა, ე.წ. "ჰოლანდიური დაავადება", რაც საქართველოში უკვე 3 წელია შესამჩნევია. ქვეყანაში დიდი რაოდენობით შემოდის უცხოური ინვესტიციები, ხდება მათი ლარში გადაყვანა და იზრდება მოთხოვნა ლარზე. ლარი რომ ძალიან არ გამყარდეს, ეროვნული ბანკი იძულებულია შეისყიდოს შემოსული დოლარები, ანუ მიმოქცევაში გაუშვას ლარის დამატებითი მასა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ მომავალშიც გაგრძელდეს მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ეროვნული ბანკის სარეზერვო მოთხოვნების მაღალი დონით შენარჩუნება. გამოკვლევებით, ლარზე მოთხოვნა დიდია, თუმცა ფულის დაზოგვის მიზნით, მაინც უცხოური ვალუტა გამოიყენება. ინფლაციის თავიდან ასაცილებლად ფიშერის სპეციალური ფორმულაც არსებობს, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ქვეყანას უნდა გააჩნდეს გამართული ანტიინფლაციური პოლიტიკა, რომლის მთავარი პირობა, პირველ რიგში, ინფორმაციის სრულყოფილი ფლობაა ეკონომიკური სუბიექტის მიერ მთავრობისა და ეროვნული ბანკის პოლიტიკის შესახებ. ინფლაციის შემცირების პროგრამა უნდა გამოქვეყნდეს წინასწარ, ასევე, ვინც აწესებს ფასებს და პირობას, უნდა ენდობოდეს მთავრობასა და ეროვნულ ბანკს. პროდუქციაზე ფასების ზრდას სწორედ ინფლაციური მოლოდინი განაპირობებს, ამიტომ, თუ ეკონომიკურ სუბიექტებს ექნებათ სწორი ინფორმაცია, თუ რას აპირებს ხელისუფლება ინფლაციის თავიდან ასაცილებლად, ინფლაციური მოლოდინიდან გამოწვეული შოკიც ნაკლები იქნება. ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, საჭიროა გარკვეული დრო იმისათვის, რომ ეს მონეტარული პოლიტიკა აისახოს ინფლაციაზე.<sup>54</sup>

ინფლაციის დაბალი წლიური მაჩვენებლის შენარჩუნებაზე ზრუნვა, ეროვნულ ბანკთან ერთად, ფინანსთა და ეკონომიკის მდგრადი განვითარების სამინისტროებსაც ეკისრებათ. თუმცა, მთავრობის საბიუჯეტო პოლიტიკა ეროვნული ბანკის მიერ გადადგმული ნაბიჯების არათანმხვედრია: გასულ წელს, საქართველოში საბიუჯეტო დეფიციტმა მთლიანი შიდა პროდუქტის 6 %-ს, ანუ 1 მილიარდ ლარს გადააჭარბა.

ამ შემთხვევაში აუცილებელია ფინანსთა სამინისტროსა და მთავრობის მხრიდან ფისკალური პოლიტიკის გატარება დეფიციტის შესამცირებლად, მაგა-

<sup>54</sup> Opinion.ge

ლითად, ინვესტიციების გზით მიღებული თანხების საგარეო ვალების მიმართულებით გამოყენება და ა.შ. საქართველოს ხელისუფლებას ბიუჯეტის დაბალანსების და სახელმწიფო ხარჯების შემცირების რეკომენდაცია საერთაშორისო სავალუტო ფონდის და ევროკავშირის ექსპერტებმა ჯერ კიდევ ორი წლის წინ მისცეს. თუმცა, მთავრობამ ამ რეკომენდაციის საპირისპიროდ, 2010 წლის ივნისში ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილი 215 მილიონი ლარით გაზარდა. ინფლაციის კიდევ ერთ წამახალისებელ ფაქტორად 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დონორთა მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი გრანტებისა და შეღავათიანი კრედიტების არაეფექტიანი და არასწორი ხარჯვაც სახელდება. ამიტომ ხელისუფლებამ პირველ რიგში სწორედ საბიუჯეტო პოლიტიკა უნდა შეცვალოს და ამის საფუძველზე ბიუჯეტსაც გადაახედოს.

მნიშვნელოვანია, რომ ზემოთ განხილული ღონისძიებების გატარებისას ეროვნულმა ბანკმა და ფინანსთა სამინისტრომ სინქრონულად იმუშაონ. ანტი-ინფლაციური პოლიტიკა თანმიმდევრული, კარგად გათვლილი და გააზრებული უნდა იყოს, რათა მკვეთრმა და რადიკალურმა ღონისძიებებმა საპირისპირო შედეგი არ გამოიღოს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ.ხადური, ნ.კაკულია, მ.ჩიქობავა – “მაკროეკონომიკა” 2011
2. ნინო ხარაძე, “ინფლაციის ეკონომიკური მსაზღვრელი”
3. [geostat.ge](http://geostat.ge)
4. <http://www.tradingeconomics.com/inflation-rates-list-by-country>
5. [Opinion.ge](http://opinion.ge)
6. [http://pirweli.com.ge/index.php?option=com\\_content&task=view&id=74218&Itemid=52](http://pirweli.com.ge/index.php?option=com_content&task=view&id=74218&Itemid=52)

*Tsignadze Berika*  
*I. Javakhishvili Tbilisi State University*  
*Faculty of Economics and Business*

### THE REASONS OF INFLATION AND THE WAYS OF OVERCOMING THE ONE Summary

In this article it is discussed the reasons of inflation in Georgia and methods, which decline the inflation rate. The methods are used by national bank of Georgia, the government of Georgia and the ministry of financial of Georgia. Inflation rate of Georgia is compared with inflation rate of leading and neighbor countries. It is desired that the government of Georgia work out a program against the inflation. The program should shorten the rate of inflation until it becomes one-cipher mark. Also the program should not stop economic crediting and growth.

**ინფორმაცია**

2008 წლიდან დაარსდა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, რომელიც გამოდის პერიოდულად.

შრომების კრებულში დაიბეჭდება მეცნიერ ეკონომისტთა (მეცნიერებათა დოქტორები, აკადემიური დოქტორები) შრომები, ასევე, ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტების და პრაქტიკოს ეკონომისტთა სათანადო მეცნიერული დონის სტატიები.

ავტორთათვის კრებულში სტატიების გამოსაქვეყნებლად მოქმედებს შემდეგი წესები:

1. კრებულში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური – TIMES NEW ROMAN).
4. ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: **economics\_institute@yahoo.com, nbibilashvili@rambler.ru**

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და კრებულის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

**ღამატიპითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:**  
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 299-68-53.

**პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის  
გამომცემლობა**

ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე  
**შელავათიან ფასებში**

გთავაზობთ ნებისმიერ საგამომცემლო საქმიანობას:

- მასალის აკრეფა, დაკაბადონება, რედაქტირება

**გამოიცემა:**

- სამეცნიერო წიგნები და ნაშრომები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები
- პერიოდული გამოცემები (სამეცნიერო შრომათა კრებული, სამეცნიერო ჟურნალები, კონფერენციის მასალები)

- ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამკვლევები
- ელექტრონული დარგობრივი ჟურნალები

**მისამართი: თბილისი, გერონტი ქიქოძის ქ. №14**

**293 22 60; 551 10 07 04.**

**ელ.ფოსტა: economics\_institute@yahoo.com**

**ჟურნალ "ეკონომისტში" სტატიების წარმოდგენის წესები**

1. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური TIMES NEW ROMAN).
4. ჟურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. რედაქციის მიერ სტატიის წარმოდგენის თარიღად ჩაითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი.
5. სტატია, რომელიც სრულად არ პასუხობს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, რედაქციის მიერ არ მიიღება.
6. ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: economics\_institute@yahoo.com, tealazarashvili@rambler.ru

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და ჟურნალის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

**ღამატიპითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:**  
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 293-34-44; 599 97 01 03.

**GEL**

<b>მიმღები</b>	მიმღები: თსუ/ანგარიში პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტისათვის
	მიმღების IBAN ანგარიშის # GE72 BR00 0001 0405 5894 42
<b>მიმღების ბანკი</b>	ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა“
	ბანკის BIC კოდი: REPLGE22

**THE RULES OF HANDING IN SUBMISSION THE REPORTS TO THE JOURNAL “ECONOMIST”**

1. Scientific works sent to publish should be the result of independent research. The work should guarantee copyrights and should not be published in other organs.
2. An original paper sent to editorial board must be signed by the author, and in case of coauthorship – by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and e-mail.
3. The paper should be printed by computer with 1,5 spacing, A4 format, 12 font. The articles should be sent to editorial board in two printed copies together with electronic version (MS WORD, Georgian text font - AcadNusx, English text font - Times New Roman).
4. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an article is sent back to the author for revision the data of receiving the final text is regarded as date of submission for consideration.
5. Price of a page – 10 \$.

The paper not meeting these requirements is not taken for consideration.

The articles should be sent by e-mail to the address: **economics\_institute@yahoo.com, tealazarashvili@rambler.ru**

Institute managers and editorial staff is ready for collaboration.

For additional information, please, connect to the address: Tbilisi, 14 Kikodze str., tel: 293 34 44

**USD**

<b>BENEFICIARY</b>	Beneficiary's name: TBILISI STATE UNIVERSITY
	Beneficiary's IBAN NO: GE72 BR00 0001 0405 5894 42
<b>BENEFICIARY BANK</b>	BANK “REPUBLIC” Tbilisi, Georgia
	Correspondent Acc. 00195464 SWIFT: REPL GE 22
<b>INTERMEDIARY BANK</b>	SOCIETE GENERALE, N.Y., USA
	SWIFT: SOGE US 33



ჟურნალი “ეკონომისტი”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.  
E-mail: economics\_institute@yahoo.com

Journal “Economisti”

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103  
E-mail: economics\_institute@yahoo.com

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

რედაქტორი **ნატო აბესაძე**

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor **Nato Abesadze**